# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№65-66 (10068-10069) 2026 წლის 1 ივნისი, ორშაბათი


## ხალხს ყველაფერი ახსოვს!







იხ. 8-9 გვ.

### სიმართლეს ვერ მოკლავთ, მიცვალებულებს ვერ გააჩუმებთ!



14

## ოქროს ბურთი – ოქროს ბიჭუნას!

**ისევ მაოხრებელი გზირები!**



## სააკაშვილის მორიგი ბრალდებები და შიდა-პოლიტიკური ომი ოპოზიციაში

იხ. 4 გვ.

## ბზარი:

### სახელმწიფო თუ სამართალი?!



3

სახიფათო სპირალი



6

გიორგი კვესიტაძე

### ქართული ბიოლოგიური მეცნიერების თავკაცი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85-ე წლისთავის აღსანიშნავად



**მეხუთე საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი**

5

### არის თუ არა სომხეთი ახალი გზაჯვარედინი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის?

10

ნოდარ ბარამიძე 80 წლისაა



6

### პრინციპული და გულისხმიერი ფსიქოლოგი

SOS!

## 2026-2027 წლების ამინდის პროგნოზი თავდაყირა დგება!

16

**ნოვაცია**




7

საქართველოში პირველი დისტანციური რობოტული ოპერაცია მაგთიკომის ინტერნეტკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა

# „ღვინის ქარხანა N1“: ალკოჰოლური სასმელების უიშვიათესი კოლექციის შესწავლა იწყება!






**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი თბილისში, „ღვინის ქარხანა N1“-ის ტერიტორიაზე არსებული უნიკალური ენოთეკის გახსნის ღონისძიებას დაესწრნენ და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს.**

მინისტრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა აღნიშნული პროექტის განხორციელების მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ უნიკალური ენოთეკის გახსნა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობისთვის.

**„ეს უნიკალური სივრცე ორ საუკუნეზე მეტი ხნის დაძველების ღვინოებსა და სპირტიან სასმელებს ინახავს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს, როგორც ღვინის კულტურის სამშობლოს მნიშვნელობას. სწორედ ღვინის წარმოების უძველესმა ტრადიციამ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული ადგილი მსოფლიო რუკაზე და საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. დღეს ჩვენ იმ პროცესის მონაწილეები ვართ, რომელიც საქართველოს, როგორც ღვინის უნიკალური კულტურის მატარებელ ქვეყანას, საერთაშორისო ყურადღების ცენტრში სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს“,** – აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**

„ღვინის ქარხანა N1“-ის ტერიტორიაზე არსებულ ენოთეკაში, წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 20 ათასამდე საკოლექციო ბოთლი ინახება. კოლექცია ორ საუკუნეზე მეტი ხნის დაძველების როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრემიუმ კლასის ღვინოებს აერთიანებს. აქვე დაცულია ნაპოლეონ ბონაპარტის, იოსებ სტალინის და სხვა ისტორიულ ფიგურებთან დაკავშირებული უნიკალური ნიმუშები.

**„ღვინის ენოთეკა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ღვინის ეროვნულ სააგენტოს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ და უვადოდ გადასცა. იგეგმება ენოთეკაში დაცული ალკოჰოლური სასმელების ბოთლების იდენტიფიცირება და მათი წარმოშობის დადგენა.**

**უნიკალური ენოთეკის გახსნა და მისი შესწავლა შესაძლებლობას იძლევა, ქართული ღვინო კიდევ ერთხელ მოექცეს საერთაშორისო ყურადღების ცენტრში და წარმოდგენილი ნიმუშები მსოფლიოს მსხვილი აუქციონების ლოტებად იქცეს.**



**აღსანიშნავია, რომ „ღვინის ქარხანა N1“ XIX საუკუნის ეროვნული არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშია, რომლის მშენებლობაც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა დააფინანსა. ენოთეკა, რომელიც ამ ისტორიულ კომპლექსში მდებარეობს, საუკუნოვან მემკვიდრეობას ინახავს და ქართული მეღვინეობის მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს.**

**ღონისძიებას საქართველოს მთავრობის წევრები, „მატო იკემის“ პრეზიდენტი პიერ ლურტონი, საერთაშორისო სააუქციონო სახლებისა და მედიის წარმომადგენლები, ღვინის უცხოელი კოლექციონერები, ასევე საქართველოს ღვინის ინდუსტრიისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ“.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

# ამერიკული მედია-პლატფორმა SOMM TV ქართულ ღვინოზე ფილმს ამზადებს

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, SOMM TV-ის გადამღები ჯგუფი საქართველოში იმყოფებოდა.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, **SOMM TV**-ის წარმომადგენლები მიმდინარე წლის 8 მაისს ღვინის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს დაესწრნენ. მათ ასევე მოინახულეს ქართული ღვინის მარნები კახეთსა და ქართლში, სადაც ქართული მეღვინეობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და თანამედროვე ღვინის კულტურას გაეცნენ. ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი **SOMM TV**-ის ეთერში, **YouTube**-არხსა და სოციალურ მედიაში მიმდინარე წლის ზაფხულში გავა.

საქართველოს, როგორც მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის წარმოჩენა **SOMM TV**-ის რეიტინგულ გადაცემებში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული ღვინის ცნობადობის და გაყიდვების ზრდას ამერიკის სტრატეგიულ ბაზარზე. **SOMM TV** საერთაშორისო ციფრული მედია-პლატფორმაა, რომელიც სრულად ეძღვნება ღვინოს, გასტრონომიას, მოგზაურობასა და ცხოვრების სტილს. პლატფორმა ამერიკელმა სომელიეებმა და ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებმა დააფუძნეს. **SOMM TV** ცნობილია მაღალი ხარისხის დოკუმენტური ფილმებით, სერიებითა და საგანმანათლებლო კონტენტით ღვინის სამყაროზე.

მათი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტია დოკუმენტური ფილმების სერია „**SOMM**“, რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა როგორც პროფესიონალ სომელიეებს, ისე ღვინის მოყვარულებს შორის.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის, ცნობადობის ზრდისა და ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო მრავალი წელია თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო მედია-კომპანიებთან, როგორებიცაა **CNN, CBS, Netflix** და სხვა.



# თბილისში სტალინის ისტორიული ღვინის საცავი გახსნეს, კოლექციაში 40 000 ბოთლია

**თბილისში იოსებ სტალინის ყოფილი ღვინის საცავი გაიხსნა, სადაც დაახლოებით 40 000 ბოთლი იშვიათი ქართული და ფრანგული ღვინოა დაცული,** – ამის შესახებ სააგენტო Reuters-ი წერს.

სააგენტოს ინფორმაციით, საცავი ათწლეულების განმავლობაში დახურული იყო და იგი ოფიციალურად რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა.

**კოლექცია მოიცავს XIX და XX საუკუნეების ღვინოებს, მათ შორის ფრანგული ბორდოს ცნობილი შატოების ნიმუშებს. Reuters-ის ცნობით, საქართველოს ხელისუფლება კოლექციის ნაწილის აუქციონზე გატანას განიხილავს, მიღებული თანხები კი ღვინის საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსებას მოხმარდება.**

**გამოცემა აღნიშნავს, რომ საცავი ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას ატარებს და უკვე მიიქცია როგორც ღვინის ექსპერტების, ისე ტურისტების ყურადღება.**



# გეკა გელაძე პოლიციელებს პროფესიულ დღეს ულოცავს

**„როგორც ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, კარგად მესმის, თუ რა რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს ეჭიდებით ყოველდღიურად; ზუსტად ვიცი თქვენი შრომის ფასი და ის საქმე, რასაც ხშირად უდიდესი რისკის სანაცვლოდ ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოებისთვის ეწევით. ძლიერი პოლიცია ნიშნავს ძლიერ და უსაფრთხო სახელმწიფოს; პოლიცია კი მაშინ არის ძლიერი და წარმატებული, როდესაც მას ჰყავს პროფესიონალი ოფიცრები, რომლებიც ყოველდღიური, თავდაუზოგავი შრომით ემსახურებიან საქართველოს. მადლობას ვუხდი ყველა ღირსეულ პოლიციელს, ვინც ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე დგას. მადლობა თქვენ სიმამაცისთვის, შრომისა და სამშობლოს სამსახურისთვის. კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ქართული პოლიციისა და პოლიციელთა პროფესიულ დღეს. გისურვებთ ერთიან, ძლიერ და წარმატებულ საქართველოში ცხოვრებას“,** – ნათქვამია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის **გეკა გელაძის** წერილში.

# მიენიჭათ უმაღლესი სპეციალური წოდებები

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს სულხან თამაზაშვილს პოლიციის გენერალ-მაიორის უმაღლესი სპეციალური წოდება მიენიჭა. განკარგულებას ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე.**

ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, გენერალ-მაიორის უმაღლესი სპეციალური წოდება მიენიჭა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს **ვაჟა სირაძეს**, ხოლო საქართველოს სასაზღვრო პოლიციის გენერალ-მაიორის უმაღლესი სპეციალური წოდება მიენიჭა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსს **დავით თამაზაშვილს**.



## ძალად ატკივებული თავები...



# ბზარი:

# სახელმწიფო თუ სამართალი?!

## სახიფათო სპირალი

**ძლიერი სახელმწიფო, პირველ რიგში, იმით იზომება, რამდენად მკაცრად სჯის საკუთარ სისტემაში ჩადენილ დანაშაულს. თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო დროულად, გამჭვირვალედ და ობიექტურად გამოიძიებს დაკავებულ მოქალაქეზე ძალადობის ფაქტს, ეს იქნება არა სისუსტის, არამედ სახელმწიფოს სიმტკიცის ნიშანი. საზოგადოებისთვის ყველაზე დამამშვიდებელი სწორედ ის არის, როდესაც კანონი ყველასთვის ერთნაირად მოქმედებს, მათ შორის მათთვისაც, ვისაც მისი აღსრულება ევალება.**






**მაგრამ პრობლემა იწყება მაშინ, როდესაც ასეთ შემთხვევებზე რეაგირება იგვიანებს, პასუხისმგებლობა ბუნდოვანი ხდება და საზოგადოებაში ჩნდება განცდა, რომ ძალოვანი სისტემა საკუთარ თანამშრომლებს ნებისმიერ ფასად ფარავს. სწორედ აქ იბადება უნდობლობა და სწორედ აქ ჩნდება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ბზარი.**

დღეს საქართველოში შექმნილია მძიმე და მუდმივად დაძაბული პოლიტიკური ფონი. თვეებია ქვეყანა უწყვეტი პროტესტის რეჟიმში ცხოვრობს. რამდენად ეთანხმება ადამიანი ამ პროტესტს, ეს უკვე სხვა საკითხია. მთავარი სხვა რამ არის. პოლიტიკური თუ სოციალური თემა თითქმის მყისიერად გადაიქცევა ქუჩის დაპირისპირებისა და მობილიზაციის მიზეზად. გარე ძალები, რადიკალური ოპოზიცია და ხშირად გულწრფელი, ემოციურად დამუხტული პროტესტანტებიც ერთ დიდ და ქაოტურ პროცესში ექცევიან, რომლის საბოლოო შედეგი მთელი საზოგადოების მუდმივი დაძაბულობაა. საზოგადოება ან პროტესტის მდგომარეობაშია, ან პროტესტის მოლოდინში.

ქვეყანა მუდმივად ნერვულ, მოჭიმულ და არასტაბილურ გარემოში იმყოფება.

ასეთ ვითარებაში ხელისუფლება ხშირად რეაქციონერის როლში ექცევა. იგი აღარ მოქმედებს, როგორც პროცესების განმსაზღვრელი ძალა და იწყებს უკვე არსებული დაძაბულობის საპასუხო რეჟიმში ცხოვრებას. შედეგად, მკაცრდება კანონები, იზრდება ჯარიმები, ფართოვდება კონტროლის მექანიზმები და ძლიერდება ძალოვანი კომპონენტი. მოკლევადიან პერსპექტივაში ეს შეიძლება სტაბილურობის დაცვის მცდელობად ჩანდეს, მაგრამ სინამდვილეში, ქვეყანა ძალიან სახიფათო სპირალში შედის, რადგან ყოველი ახალი გამკაცრება ახალ გაღიზიანებას აჩენს, ყოველი ახალი დაძაბულობა კი სახელმწიფოს კიდევ უფრო ხისტი რეაგირებისკენ უბიძგებს. ამ ყველაფერს კი სჭირდება აღმასრულებელი, აღმასრულებელი სამართალდამცავი სისტემაა.

სახელმწიფო ძალადობის ლეგიტიმური მონოპოლისტია. სწორედ ამიტომ არის პოლიცია განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მატარებელი სტრუქტურა. მაგრამ პრობლემა იწყება მაშინ, როდესაც ძალაუფლების ინსტრუმენტი საკუთარ თავს არა კანონის მსახურად, არამედ თავად ძალაუფლების მთავარ საყრდენად აღიქვამს.

**მოდით, კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა: რატომ ხდება პოლიციური ძალადობა?**

**იმიტომ ხომ არა, რომ ძალოვანი სისტემის გარკვეულ ნაწილში გაჩნდა განცდა, თითქოს სწორედ ისინი არიან ხელისუფლების მთავარი და უკანასკნელი საყრდენი? იმიტომ ხომ არა, რომ წინა შემთხვევებში პასუხისმგებლობის საკითხი გაჭიანურდა? დაუსჯელობა, ან დაგვიანებული რეაგირება, ყოველთვის ახალ ძალადობას გადებს. და ვიხილეთ კიდეც ქალაქ გორში გადაღებული შემზარავი კადრები.**

**იარაღის ტარება, ფორმა, ძალის გამოყენების უფლება და ადამიანის კონტროლის ყოველდღიური პრაქტიკა პოლიციელს ფსიქოლოგიურ უპირატესობას აძლევს. როდესაც ადამიანს მუდმივად უწევს სხვისი გაჩერება, ჩხრეკა, დაკავება და მისი ნების შეზღუდვა, არსებობს საფრთხე, რომ ნელ-ნელა წაიშალოს ზღვარი კანონის დაცვასა და ძალაუფლებით ტკბობას შორის. განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩნდება განცდა, რომ სისტემა მას ნებისმიერ შემთხვევაში დაიცავს.**



**დაზარალებულები: პაპუნა ლოცულაშვილი და ლაშა ამისულაშვილი**

ყველაზე საშიში სწორედ ეს ფსიქოლოგიური მომენტია. ძალაუფლება ადამიანს მხოლოდ გარედან კი არ ცვლის, შინაგანადაც გარდაქმნის. თუ სახელმწიფომ მკაფიოდ არ აჩვენა, რომ კანონი პოლიციელზეც ვრცელდება, ძალოვან სტრუქტურებში ჩნდება რწმენა იმისა, რომ მათი სტატუსი განსაკუთრებულია. ასეთ დროს მუნდირი უკვე აღარ აღიქმება, როგორც პასუხისმგებლობა. იგი ხელშეუხებლობის სიმბოლოდ გადაიქცევა. ასეთ შემთხვევაში, უკვე ახლოს ვართ პოლიციურ სახელმწიფოსთან. ეს კინო უკვე ნანახი გვაქვს...

ნუ დაგვავიწყდება შევარდნაძის ეპოქაც, როდესაც ძალოვანი სტრუქტურების მნიშვნელოვანი ნაწილი კორუფციაში, ძალადობასა და სრული დაუსჯელობის ატმოსფეროში იყო ჩაფლული. მაშინ ხელისუფლება სულ უფრო ნაკლებად ეყრდნობოდა საზოგადოების ნდობას და სულ უფრო მეტად ძალოვან აპარატს. სახელმწიფოს სიმყარე ხალხის მხარდაჭერით კი აღარ იზომებოდა, არამედ იმით, რამდენად მყარად იდგა მის უკან პოლიცია, უშიშროება და შსს, მაგრამ სწორედ ასეთმა მოდელმა გახადა სისტემა შიგნიდან მყიფე. საკმარისი აღმოჩნდა პოლიტიკური კრიზისი, გარე მხარდაჭერა და ძალოვანი სტრუქტურების რყევა, რომ მთელი კონსტრუქცია სწრაფად ჩამოშლილიყო. ეს ძალიან კარგად გამოიყენეს ე.წ. ვარდების რევოლუციის ლიდერებმა და მათმა გარე კურატორებმა.

**ისტორია გვაჩვენებს, რომ სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ძალოვანებზე დგას და არა საზოგადოების ნდობაზე, ადრე თუ გვიან, კრიზისში შედის. ძალოვანი აპარატი შეიძლება დროებით ამყარებდეს კონტროლს, მაგრამ იგი ვერ ცვლის ლეგიტიმაციას. პირიქით, როდესაც პოლიცია მოქალაქისთვის კანონის სიმბოლოდ კი აღარ აღიქმება, არამედ შიშის წყაროდ, იწყება სახელმწიფოსა და საზოგადოების გაუცხოება.**

მართალია, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ხელისუფლებას და მის პოლიტიკურ კურსს უჭერს მხარს, მაგრამ პოლიტიკური პროცესი უკიდურესად სწრაფად ცვალებადია. არცერთი ხელისუფლება არ უნდა შევიდეს თვითდაჯერებულობის ფაზაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში მაღალი პოლიტიკური ტემპერატურა, მუდმივი პროტესტი და გარე ინტერესების აქტიური კვეთაა.

სწორედ ასეთ დროს, თითოეულ შეცდომას განსაკუთრებული ფასი აქვს. ყოველი დაუსჯელი ძალადობა, ყოველი სისტემური ჩავარდნა, ყოველი შემთხვევა, როდესაც მოქალაქეს უჩნდება განცდა, რომ კანონი ყველასთვის ერთნაირად არ მოქმედებს, პირდაპირ აზიანებს სახელმწიფოს პოზიციებს. უფრო მეტიც, მსგავსი ფაქტები წყალს უშვებს ჩვენი ქვეყნის მტრების წისქვილზე, რადგან ისინი ყოველთვის ელოდებიან შიდა დაძაბულობის გაღრმავებას, საზოგადოების პოლარიზაციას და სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის უნდობლობის ზრდას.

სწორედ ამიტომ, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი არა მხოლოდ წესრიგის დაცვა, არამედ სამართლიანობის მკაფიო დემონსტრირებაა. ძლიერი სახელმწიფო ის კი არ არის, რომელიც შეცდომას მალავს, არამედ ის, რომელიც საკუთარ სისტემაში არსებულ პრობლემას სწრაფად ხედავს, ასწორებს და აღარ იმეორებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა შეიძლება ისევ იმავე წრეზე დაბრუნდეს, რომელიც ერთხელ უკვე ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს.

**ამ ყველაფერს ერთი ემიგრანტი აკვირდება შორიდან. ადამიანი, რომელმაც საკუთარი ქვეყნის არაერთი მძიმე პოლიტიკური ეტაპი უკვე გამოიარა და რომელმაც ძალიან კარგად იცის, რამდენად სწრაფად შეიძლება გადაიზარდოს მუდმივი დაძაბულობა საზოგადოებრივ და შემდეგ სახელმწიფოებრივ კრიზისში. ამიტომ, ეს ტექსტი არც მორალის კითხვა არის და არც აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია. ეს უფრო შფოთვაა და გაფრთხილება, რომელიც წარსულის გამოცდილებიდან მოდის. ღმერთმა მოგვანიჭოს სიბრძნე და სულის სიმშვიდე.**

**ლევან მეტონიძე,**

სოციოლოგი

საქართველოს რესპუბლიკა

# ისევ მაოხრებელი გზირები!

## სააკაშვილის მორიგი ბრალდებები და შიდაპოლიტიკური ომი ოპოზიციაში

**ქართულ ოპოზიციურ ფლანგზე სიმშვიდე იშვიათი მოვლენაა, თუმცა ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ შიდა დაპირისპირება და ლიდერობისთვის ბრძოლა ახალ, ბევრად უფრო მწვავე ფაზაში გადადის. ოპოზიციურ ალიანსში ისევ დაპირისპირებაა. მიხეილ სააკაშვილი ნიკა მელიას აკრიტიკებს და იმ აქციის დაშლაში ადანაშაულებს, რომელიც სააკაშვილის თქმით, მის გათავისუფლებას ეხებოდა. ექსპრეზიდენტის ეს მორიგი ბრალდება კიდევ ერთხელ აშიშვლებს იმ ღრმა კრიზისსა და უნდობლობას, რომელიც ოპოზიციური ერთობის შიგნით არსებობს.**



### სააკაშვილის ბრალდება და „ნაციონალური მოძრაობის“ პასუხი

**დაპირისპირების მთავარი კატალიზატორი მიხეილ სააკაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული განცხადება გახდა, სადაც მან ნიკა მელია ტაქტიკურ შეცდომებსა და პროცესების არასწორ მართვაში ღიად დაადანაშაულა.**

სააკაშვილის თქმით, მელიამ ხელი შეუშალა ბევრად უფრო მძლავრი მუხტის განვითარებას, რომელსაც მისი პატიმრობიდან გამოხსნა უნდა მოჰყოლოდა.

**„მელიას შეცდომა ის იყო, რომ მან გუშინდელ აქციაზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი, ჩემი გათავისუფლების მოთხოვნით ჩატარებული აქცია დაშალა და ხალხი არჩევნებზე გადართო, არადა, თბილისში არჩევნების მოგება შეუძლებელი იყო ჩემი გათავისუფლების გარეშე“** – წერს **სააკაშვილი.**

სააკაშვილის ამ ბრალდებებმა მელიას გუნდის წევრებისა და მხარდამჭერების მყისიერი და უკომპრომისო გაღიზიანება გამოიწვია. მელიას თანაგუნდელმა კი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს „მაოხრებელი გზირი“ უწოდა. **დიმიტრი ბიძინაშვილმა** სოციალურ ქსელში მკაცრი პოსტი გამოაქვეყნა, სადაც სააკაშვილის პოზიცია სრულიად გაანადგურა:

**„მაოხრებელი გზირი! ზუსტად იმ ხალხმა დაიწყო წერა „მელიამ აქცია დაშალა“, ვისაც მთელი ღამე თბილად და მშვიდად ეძინა. გეგონება, მელიას ეს ხალხი მოკლე ჯაჭვით ჰყავდა დაბმული და იმ ღამეს აუშვა, რომ წასულიყვნენ. მოკლედ, ამ კაცის გამოსწორება არ იქნება და რამდენჯერაც ერთიანობის შანსი გაჩნდება, იმდენჯერ ასეთ სისულელეს იზამ“** – დაწერა **დიმიტრი ბიძინაშვილმა**

### მუდმივი დაპირისპირება სააკაშვილის გარშემო

**ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მიხეილ სააკაშვილის ფიგურა ოპოზიციის შიგნით განხეთქილების ვაშლად იქცევა. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი 26 მაისის აქციაზე, კიდევ ერთი სერიოზული დაპირისპირების ხაზი გამოიკვეთა. აქციაზე, რომელიც დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნებოდა, გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი დიდი ბანერები. ამ ფაქტმა ალიანსის სხვა წევრებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.**

სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ხშირად კეთდება განცხადებები, რომ სააკაშვილი ცდილობს, ნებისმიერი საერთოსახალხო ან პროევროპული პროტესტი საკუთარ პერსონალურ კამპანიად აქციოს. ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ აქციებზე სააკაშვილის ბანერების გამოჩენა და პროცესის ვიწროპარტიულ ჭრილში გადატანა აფრთხობს ნეიტრალურ ამომრჩეველს, შლის მრავალფეროვან მუხტს და საზოგადოებას არჩევანის გაკეთებას ისევ ძველ, პოლარიზებულ გარემოში აიძულებს. პოლიტიკური ლიდერები პირად საუბრებსა თუ საჯარო გამოსვლებში ხაზს უსვამენ, რომ სააკაშვილის „ჩრდილოვანი მართვის“ მცდელობა ანგრევს ყოველგვარ შანსს, რომ ოპოზიციამ ერთიანი, თანამედროვე და დასავლური ტიპის კოალიცია შექმნას.

### ფინანსები და რევოლუციური სცენარები

**ოპოზიციაში მიმდინარე ამ მორიგ კინკლაობასა და ღია ომს მყისიერად გამოეხმაურნენ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები, რომლებიც მიმდინარე პროცესებს გარე მართვასა და მატერიალურ ინტერესებს უკავშირებენ. თენგიზ შარმანაშვილი** ოპოზიციაში მორიგ დაპირისპირებას ეხმაურება. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თქმით, ამაზე მეტი მტკიცებულება, რომ ოპოზიციის ეს ნაწილი ქვეყნის გარედან იმართება, არ არსებობს.

**„ყველა ცდილობს, რომ თავისი თავი წარმოაჩინოს, როგორც ერთადერთმა და განუმეორებელმა ლიდერმა ამ მოძრაობისა, იმიტომ, რომ ეს ყველაფერ დანარჩენთან ერთად, მატერიალურ საკითხებთანაც არის დაკავშირებული. ამით უნდათ აჩვენონ – მე ვარ ის მთავარი ფიგურა, რომლისკენაც უნდა იყოს მომართული დასავლეთის ზოგიერთი წრიდან თანხები. ეს 1 და 2 დოლარი არ არის, საუბარია მილიონობით დოლარზე. მათ საკუთარი ნება არ გააჩნიათ. ამაზე დიდი მტკიცებულება, რომ ისინი უცხოეთის გარკვეული წრეებიდან იმართებიან, რაღა უნდა არსებობდეს ამ ქვეყანაზე“** – რიტორიკულ კითხვას სვამს **შარმანაშვილი.**

ხელისუფლების კიდევ ერთი წარმომადგენელი, ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **თორნიკე ფაღავა** ოპოზიციაში დაპირისპირებას აფასებს. მისი თქმით, ოპოზიციური ალიანსის წევრები მიხეილ სააკაშვილს „მაოხრებელ გზირს“ სწორად უწოდებენ. ფაღავა მიიჩნევს, რომ რეალური ალიანსი საერთოდ არ არსებობს და ყველაფერი ერთი ადამიანის ამბიციების გარშემო ტრიალებს.

**„სწორად უწოდებენ მას (მიხეილ სააკაშვილს) ალიანსის წევრები „მაოხრებელ გზირს“, რამდენადაც, როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში ყოველთვის ცდილობს პოლიტიკური პროცესის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გატანას, საზოგადოების გახლეჩას და რევოლუციური პროცესების განხორციელებას. სინამდვილეში, არ არსებობს არანაირი ალიანსი. ეს არის სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ ირგვლივ გაერთიანებული ერთობა. სააკაშვილმა იქ ვიდეოს გაახსენა, რათა არ დაავიწყდეთ, რომ ამ ალიანსში ყველაფერი მის ირგვლივ ტრიალებს“** – განაცხადა **ფაღავამ.**

საბოლოო ჯამში, ოპოზიციურ ერთობაში არსებული ეს ღრმა კრიზისი აჩვენებს, რომ სააკაშვილის ფაქტორი კვლავ რჩება მთავარ გამყოფ ხაზად. ვიდრე ერთი მხარე ცდილობს პროცესები სააკაშვილის გათავისუფლების იდეას დაუკავშიროს, მეორე მხარე ამაში პოლიტიკურ თვითმკვლელობას ხედავს, რაც ალიანსს საბოლოო დაშლისკენ მიაქანებს.

### „ეს არის ეგოცენტრიზმის ომი, სადაც ალიანსი განწირულია!

**შექმნილ ვითარებას და ოპოზიციის შიგნით არსებულ ამ მწვავე დაპირისპირებას პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი იგორ კვესელავა აფასებს.**

მისი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა მელიას მორიგი კონფლიქტი, ისევე, როგორც 26 მაისის აქციაზე სააკაშვილის ბანერების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, კანონზომიერი პროცესია, რომელიც აშიშვლებს ქართული ოპოზიციის მთავარ სენს – ერთპიროვნული ლიდერობის ამბიციას და სტრატეგიული ხედვის არარსებობას. კვესელავა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ალიანსის წევრებმა ექსპრეზიდენტს „მაოხრებელი გზირი“ უწოდეს.

**„ოპოზიციურ ერთობაში დღეს რაც ხდება, ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ანგრევს პერსონალური ამბიციები საერთო საქმეს. როდესაც ალიანსის შიგნიდან სააკაშვილს „მაოხრებელ გზირს“ უწოდებენ, ეს ნიშნავს, რომ პარტნიორებს შორის ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ზღვარი უკვე გადალახულია და იქ ყოველგვარ მორალურ ერთობაზე საუბარი ზედმეტია.**

**სააკაშვილი, თავისი ბუნებით, ვერასდროს შეეგუება მეორეხარისხოვან როლს, ის ყოველთვის შეეცდება, ნებისმიერი აქცია, ნებისმიერი თარიღი – იქნება ეს 26 მაისი თუ სხვა, საკუთარ პერსონას დაუკავშიროს. მისი გადმოსახედიდან, არჩევნების მოგებაც კი აზრს კარგავს, თუ ის თავად არ იქნება ამ პროცესის ცენტრში“** – ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, სწორედ ამიტომ ადანაშაულებს მელიას აქციის დაშლაში – მას სჭირდება მუდმივი რევოლუციური ტემპერატურა.

**„მელიას წარმომადგენლები ხვდებიან, რომ სააკაშვილის ბანერებითა და მხოლოდ მისი გათავისუფლების ლოზუნგებით შუაშისტ ამომრჩეველს ვერ მიიმხრობენ. ეს არის ორი, სრულიად განსხვავებული ტაქტიკის, თუ გნებავთ, ეგოცენტრიზმის ომი. სანამ ოპოზიციური კოალიცია ვერ ჩამოყალიბდება ერთიან, ინსტიტუციურ ორგანოდ და იქნება დამოკიდებული ერთი პატიმარი ლიდერის განწყობებზე, ისინი მუდმივად იქნებიან ამგვარი შიდა აფეთქებების მსხვერპლნი. ეს დაპირისპირება მათ კიდევ უფრო ასუსტებს და ამომრჩეველში ნიჰილიზმს თესავს“** – აცხადებს **იგორ კვესელავა.**

**ლიკა ბერიკაშვილი**



# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85-ე წლისთავის აღსანიშნავად



**დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მიმდინარე წელი განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა ღირსშესანიშნავი, საყოველთაო პატივის მისაგები მოვლენებით. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის დაარსების 85-ე წლისთავის საიუბილეო თარიღი.**

# V საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი

**მეცნიერებათა აკადემიისა და მის სისტემაში შემავალი საერთაშორისო აღიარების სამეცნიერო სკოლების – კვლევითი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მონაპოვრები ღირსეულ ადგილს იკავებდა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში და ის არანაკლებ ყურადღებასა და დაფასებას მოითხოვს დღესაც, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში.**

შესაბამის საიუბილეო განზრახვათა განხორციელება ჯერ კიდევ



წინ არის, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ თარიღისადმი მიძღვნილ მე-5 საერთაშირისო ქართველოლოგიურ კონგრესს. ქართველოლოგიური კვლევები, ქართველოლოგიის წარსული და თანამედროვეობა ხომ ერთ-ერთი წამყვანი, პრიორიტეტული მიმართულებაა მეცნიერებათა აკადემიის მრავალმხრივ მოღვაწეობაში და ქართველოლოგიის საერთაშორისო კავშირების შენარჩუნება-განვითარებაც უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

რახან ქართველოლოგიური კონგრესი რიგით მეხუთეა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უკვე შეუძენია მნიშვნელოვანი სამეცნიერო ტრადიციის ხასიათი. ის სწორედ მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და ორგანიზებით დაფუძნდა, იმართება ყოველ მესამე წელს და შეძლო არა მხოლოდ შეენარჩუნებინა ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები, არამედ სამეცნიერო ურთიერთობებში აქტიურად მოეზიდა ახალი, პერსპექტიული მკვლევრები უცხოეთის ქვეყნებიდან.

**V საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი გაიმართა 2026 წლის 22-23 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. როგორც ითქვა, ის მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85-ე საიუბილეო თარიღს.**

კონგრესის გახსნა და პლენარული სხდომა გაიმართა 22 მაისს. კონგრესს შესავალი სიტყვით მიმართა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა.** მან საფუძვლიანად მიმოიხილა მეცნიერებათა აკადემიის არსებობის ისტორიული წინაპირობები და მისი როლი და ღვაწლი მეოცე საუკუნის საქართველოში. ასევე, აკადემიური მეცნიერების მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებათა აკადემიამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გამოაცხადა ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსი მეცნიერების 9 მიმართულებით ცნობილ აკადემიკოსთა სახელობითი პრემიების მოსაპოვებლად. სწორედ ამ დღეს გამოაცხადა აკადემიის პრეზიდენტმა კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდა მეცნიერები.

შემდეგ კონგრესს მიესალმა და მეცნიერებისა და სარწმუნოების ჰარმონიული ურთიერთობის მნიშვნელობაზე ილაპარაკა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა (დათუაშვილმა). მან კონგრესის ორგანიზატორებსა და მის მონაწილე ქართველოლოგებს გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის **შიო III**-ის ლოცვა-კურთხევა და კეთილი სურვილები.

კონგრესის პლენარულ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა სამი მოხსენება: ცნობილი რუსთველოლოგის, აკადემიკოს **ელგუჯა ხინთიბიძის** მოხსენება □რუსთველის რელიგიური მსოფლმხედველობა და □ვეფხისტყაოსნის□ტოლერანტიზმი□, რომელიც მიეძღვნა ამ გენიალური ნაწარმოების ახალი მსოფლმხედველობრივი ასპექტების წარმოჩენას. იაპონიიდან □ონლაინფორმით□ჩაერთო სხდომის მუშაობაში, უკვე კარგად ცნობილი ქართველოლოგი **ჰიროტაკე მაედა**, რომლის მოხსენებამ □□არჩილ II ბაგრატიონის პოემის □□გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა□□ისტორიული მნიშვნელობის კვლევა□ახლებურად წარმოაჩინა ამ ნაწარმოების შინაარსი და მისი მიმართება თანადროულ საერთაშორისო პროცესებთან. ხოლო ბრიტანელი ქართველოლოგის, ქალბატონ თამარ დრაგაძის მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით იყო დატვირთული ღრმა ემოციითა და ეროვნული აკადემიის სამომავლო მნიშვნელობის მასშტაბური გააზრებით.

თავად კონგრესის სამუშაო პროცესი ორ დღეზე განაწილებულ თემატურად დატვირთულ სამ სხდომად გაიმართა. პირველი სხდომა ძირითადად მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ თემატიკას უკავშირდებოდა. მეორე სხდომა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავს მიეძღვნა. ხოლო მესამე სხდომის დღის წესრიგი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების 1700 წლისთავთან იყო დაკავშირებული.

შესაბამისად, ამ სხდომებზე წარმოდგენილი მოხსენებები შეეხებოდა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიის, კულტურის, ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურული ურთიერთობების, ენათმეცნიერებისა და ეთნოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვან, სადღეისოდ აქტუალურ საკითხებს. ამ სამეცნიერო პრობლემატიკის გაშლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც ქართველმა მკვლევრებმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო სტრუქტურებიდან, ისე უცხოელმა კოლეგებმა დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან...

ფრიად საყურადღებო თეორიული და ემპირიული სიახლეებით წარმოდგნენ ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მეცნიერები: ლია მელიქიშვილი, იოსტ გიპერტი, გივი ღამბაშიძე, თეო კობუში, კონსტანტინე ლერნერი, ალესანდრო მარია ბრუნი, ვალერი ვაშაკიძე, ნესტან სულავა... რაც მთავარია, ქართველოლოგიურმა კონგრესმა კარგად წარმოაჩინა ახალი თაობის პერსპექტიული მკვლევრები ქართველოლოგიაში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მაგალითად, ასეთია, უკვე დასახელებული **ჰიროტაკე მაედა** იაპონიიდან, საქართველოს ისტორიის წარმატებული მკვლევარი, თურქი კოლეგები – ენათმეცნიერი **ჰარუნ ჩიმქე**, რომელიც ასევე ცნობილი გახდა როგორც ქართული ლიტერატურის ჩინებული მთარგმნელი, და არქეოლოგი **გაგიურ მეჰმეთ აკარსუ**, რომელიც ანატოლიის არქეოლოგიურ კვლევებში კოლხური და იბერიული არტეფაქტების შესახებ ლაპარაკობდა. საინტერესო თემატიკას წარმოაჩენს ახალგაზრდა სომეხი ისტორიკოსი **ჰარუთიუნ ხუდანიანი**, რომელიც ამჯერად სომხურ მატიანეებში დავით აღმაშენებლის ღვაწლის ასახვის თემას წარმოადგენდა. მან იმითაც წარმოაჩინა თავისი ტალანტი, რომ შესანიშნავად ასრულებდა ფოლკლორულ სიმღერებს...

**კონგრესის დღის წესრიგი თავისებურად შეავსო კარგად ორგანიზებულმა კულტურულმა ღონისძიებებმა, კერძოდ, სტუმრობამ მეცნიერებათა აკადემიის ახლადგახსნილ მუზეუმში, აკადემიკოს ლია მელიქიშვილის მეგზურობით; იმავე დღის ბოლოს – მცირე ექსკურსიამ ძველ თბილისში, ქართული ქრისტიანული კულტურის უძველესი ძეგლებისა და არტეფაქტების მოსანახულებლად; ბოლოს კი – ექსკურსია ისტორიულ მცხეთაში, ჯვარზე და სვეტიცხოველში, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივი არსებობის 1700-წლოვანი უწყვეტი ისტორიის ნიშნით და შინაარსით.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**









პროფესორი
ნოდარ
ბარამიძე
80 წლისაა

# პრინციპული და გულისხმიერი ფსიქოლოგი

**ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, პროფესორ ნოდარ ბარამიძეს 80 წელი შეუსრულდა. მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა პირველ რიგში მშობლიურ აჭარას, კერძოდ, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის უნივერსიტეტს უკავშირდება. თუმცა, მანამდე ნაყოფიერად იმუშავა თბილისში, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში და ქუთაისშიც, სადაც პედაგოგიური ინსტიტუტის კვლევით ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა.**

1980 წლიდან ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტშია (ამჟამად □უნივერსიტეტი). 1990-2005 წლებში განაგებდა მისი თაოსნობით ჩამოყალიბებულ ფსიქოლოგიის კათედრას – შემდგომში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტს; იყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო დარგში. 2013 წლიდან უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია.

მეცნიერის კვლევითი ინტერესების ცენტრშია ნებისყოფისა და მოტივაციის პრობლემატიკა. მრავალრიცხოვან სერიოზულ გამოკვლევაში იგი მიზანდასახულად სრულყოფს და ანვითარებს მისი სათაყვანებელი მასწავლებლის, პროფესორ შალვა ჩხარტიშვილის მიერ დასახულ მეტად საინტერესო მიმართულებას ნებისყოფის ფსიქოლოგიაში. მისი პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშავა შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებელობითი ქცევის ორიგინალური კონცეფცია და მისი შესწავლის მრავალვარიანტული ექსპერიმენტული მეთოდიკა, რომელსაც წარმატებით იყენებენ სტუდენტებიც და მეცნიერ-მუშაკებიც. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ნოდარ ბარამიძის ნაშრომებმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა ამ ურთულესი საკითხების შესწავლაში.

პროფესორი ნაყოფიერად მუშაობს განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის სფეროშიც, იკვლევს განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებს, არის საქართველოში ისტორიული ფსიქოლოგიის საკითხების ერთ-ერთი პირველი და ნაყოფიერი მკვლევარი. ამ პრობლემას მან არაერთი სტატია და ორი წიგნი მიუძღვნა. მისი ნაშრომები ეხება, აგრეთვე, სახელდების პრობლემას, განწყობის თეორიას, აქსელერაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებს, შორეული მოტივაციური ქცევისა და □პიაჟეს ფენომენების□მიმართებას, ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის შედარებითი დახასიათების საკითხებს....

სულ კი ბატონი ნოდარის კალამს ეკუთვნის 16 მონოგრაფია, 280-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და პუბლიცისტური წერილი. იგი დღესაც ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა, აქტიურად ეხმაურება ჩვენი საზოგადოების გამოწვევებს.

სადოქტორო დისერტაცია 1995 წელს დაიცვა. ერთი წლის მერე პროფესორის წოდება მიენიჭა, ხოლო 1997 წელს საქართველოს პედაგოგიურ (განათლების) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და ღირსების ორდენით.

ბატონმა ნოდარმა აღზარდა სპეციალისტების რამდენიმე თაობა; ბათუმში შექმნა ფსიქოლოგიური მეცნიერების ძლიერი საგანმანათლებლო და კვლევითი კერა; სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით და პატივისცემით კოლეგებს შორის; ჰყავს შესანიშნავი დიდი ოჯახი; არის პრინციპული და, ამავდროულად, გულისხმიერი პიროვნება; იცის გამორჩეული მეგობრობა...

ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ძვირფასო ბატონო ნოდარ!

**ირაკლი იმედაძე,**
**პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.**

**84 წელი შეუსრულდა ცნობილ მეცნიერს, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს, პატრიოტ კაცს გიორგი კვესიტაძეს, რომლის განვლილ თითოეულ წელიწადს ოქროს ფასი აქვს როგორც თავისი მეგობარ-ახლობლებისთვის, ისე მთელი ქართული მეცნიერებისთვის...**

**გიორგი კვესიტაძის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისე უცხოეთში. შეუფასებელია მისი ღვაწლი ქართული საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაში.**

**ძალიან მოკლედ შეგახსენებთ:**

ბატონი გიორგის განვლილი შემოქმედებითი გზა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. იგი იყო და არის ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1980), პროფესორი (1982); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (1988); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2004□2013); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2013□2023); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი!

2023 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გენერალური მრჩეველია.

ის გახლავთ მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლის □ მცენარეთა ბიოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

მან შეძლო კავკასიის ბიომრავალფეროვნების საფუძვლიანი შესწავლა.

გიორგი კვესიტაძემ საქართველოში პირველი და ერთადერთი სამრეწველო ბიოტექნოლოგიური ქარხნის □ბიოტექის□დაარსებაც უზრუნველყო. შეისწავლა მიკროორგანიზმებისა და მცენარეების მიერ გარემოს დამაბინძურებელი ორგანული ტოქსიკური ნაერთების გარდაქმნის უნარი.

ამ კვლევების საფუძველზე დამუშავებული აქვს გარემოს დაცვის ახალი გლობალური კონცეფცია; ბიოსამეცნიერო და ფიტორემედიაციული ტექნოლოგიები.

არის 400-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი.

ამ მილოცვაშივე უნდა მოვიხსენიოთ გიორგის ქალიშვილის **თამარ კვესიტაძის** წარმატებული ქართველი არქიტექტორისა და ხელოვანის სახელი, რომლითაც განსაკუთრებით ამაყობს მეცნიერი მამა და მთელი საქართველო.

# ქართული ბიოლოგიური მეცნიერების თავკაცი



ღმერთმა დალოცოს თქვენი დაბადების დღე, ქართული მეცნიერების ბერმუხავ, იდღეგრძელეთ და იმზეგრძელეთ, ჩვენი ქვეყნის, მეგობრების და თითოეული იმ ადამიანისთვის, ვისაც თქვენი სიცოცხლე აბედნიერებს.

უმრავლოს თქვენისთანა მიზანდასახული, გულისხმიერი, კეთილი, ყოველგვარი ადამიანური ღირსებით შემკული და უფლისგან დალოცვილი პიროვნებები ჩვენს ტანჯულ სამშობლოს...

საუკუნის იუბილეც ერთად აღგვენიშნოს!

გულწრფელი პატივისცემით –
**მინდია უგრეხელიძე, თამაზ შილაკაძე, ჯიმი ყიფიანი, ვახტანგ ვეფხვაძე, ივა ბერიძე.**

# „დედაქალაქის 2026 წლის ბიუჯეტი გაიზარდა და 2 636 851,6 ათასი ლარით განისაზღვრა“



**დედაქალაქის საკრებულოს სხდომაზე ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლევან არველაძემ თბილისის 2026 წლის ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.**

როგორც ლევან არველაძემ აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა ჯამში 45 023,9 ათასი ლარით იზრდება და 2 636 851,6 ათას ლარს შეადგენს.

**„დედაქალაქის ბიუჯეტის ზრდა, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, რასაც აუცილებლად დავუჭერთ მხარს. ბიუჯეტის მოცულობა ისტორიულ ნიშნულს მიუახლოვდა და ამ დროისთვის 2 636 851,6 ათასი ლარით განისაზღვრა. კონკრეტული ცენტრალური ტრანსფერი კი, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან განხორციელდა, 35 მილიონ ლარს შეადგენს და ის მიზნობრივად, საჯარო სკოლების რეაბილიტაციას მოხმარდება. საერთო ჯამში მცირე და დიდი სარეაბილიტაციო სამუშაოები სულ 176 სკოლას ჩაუტარდება, რაც ასევე მისასალმებელი და მნიშვნელოვანი ფაქტია“,** – განაცხადა **ლევან არველაძემ.**

# სოციალურად დაუცველი ოჯახები ახალი მეთოდით გადამოწმდებიან!

**ვცდილობთ, ობიექტური და გაზომვადი კრიტერიუმები იყოს – მომავალი წლიდან ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი გადამოწმდება ახალი მეთოდოლოგიით,** – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა **მიხეილ სარჯველაძემ** სოციალურად დაუცველ ოჯახებზე საუბრისას განაცხადა.

როგორც მინისტრმა თქვა, კრიტერიუმების დიდი ერთობლიობაა, რაც დაახლოებით 40 კომპონენტისგან შედგება.

**„ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა გარკვეული პერიოდულობით იცვლება. ის, რაც რელევანტური იყო, რომ კრიტერიუმად მიგვეჩნია, რათა შეგვეფასებინა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ის კრიტერიუმები და მდგომარეობა დროთა განმავლობაში მოითხოვს გადახედვას. გადაიხედება, რა უნდა იყოს მიჩნეული იმ კრიტერიუმად, რომლის მეშვეობითაც დავადგენთ, ვის აქვს სოციალური შეჭირვება და ვის – არა.**

**ვმუშაობთ და სავარაუდოდ, მომავალი წლიდან ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი გადამოწმდება ახალი მეთოდოლოგიით□**



# საქართველოში პირველი დისტანციური რობოტული ოპერაცია მაგთიკომის ინტერნეტ-კავშირის მხარდაჭერით ჩატარდა

საქართველოში პირველად, თბილისში მყოფ პაციენტს, მარდალეიშვილის სამედიცინო კლინიკაში ურთულესი რობოტული ოპერაცია ჩინეთის ქალაქ უხანიდან ჩაუტარდა. 6,000 კილომეტრის დისტანციაზე, 8 საათისა და 30 წუთის განმავლობაში, ოპერაციის უწყვეტი და სტაბილური ინტერნეტკავშირი მაგთიკომმა უზრუნველყო.

მაგთიკომის საიმედო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურამ და ოცდაოთხსაათიანმა ტექნიკურმა მონიტორინგმა შესაძლებელი გახადა, ისტორიული სამედიცინო ოპერაცია მთელი პროცესის განმავლობაში შეფერხების გარეშე წარმართულიყო.

მაგთიკომისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, რაც ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემსახურება, საზოგადოებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის და ქვეყნის ტექნოლოგიური პროგრესი ახალ საფეხურზე გადაჰყავს.










# მთავარი მიზანი – ადამიანში ადამიანის გაცოცხლება!

**□შენ იქმენ მარადის წინამძღვარ აზრთა და გრძნობათა ჩემთა, ჟამსა შრომისა და უზნობისა, ჟამსა ყოვლისა უცებისა საქმისა მოწევნისასა ნუ მიმცემ მე დავიწყებად□..**

**ოპტინელი ბერების ეს ლოცვა, წარმოთქმული საუკუნეების წინათ ადასტურებს იმას, რომ უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ ფასეულობათა ასეთი დალაგება დიდი შრომის შედეგია და იგი მატერიალისტური გაგებითაც ჭეშმარიტებაა.**

ქრისტეს დაბადებამდე დაახლოებით 330 წელს ალექსანდრე მაკედონელი ამბობდა, **□არაფერი არ არის ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფური□** ხოლო მისი თანამედროვე ფილოსოფოსი ფსამონი ამტკიცებდა **□ადამიანის მამოძრავებელი საწყისი ღვთაებრივი წარმოშობის არის□..**

ყოველივე ამის გახსენება ჩვენ გვჭირდება იმისათვის, რომ დავამტკიცოთ ფასეულობათა ასეთი დალაგების მატერიალისტური გამართლება.

დავიწყოთ ერთი ფაქტით;

რამდენიმე წლის წინ ერთ პარლამენტარს ექიმებმა მეტად საშიში დაავადების საწყისი ეტაპის არსებობა დაუდგინეს და სასწრაფოდ ევროპაში მკურნალობა ურჩიეს.

პარლამენტარი ევროპაში წასვლამდე უწმინდეს და უნეტარეს ილია II -ს ეახლა და თავის ავადმყოფობის შესახებ აუწყა. უწმინდესმა და უნეტარესმა მხოლოდ მისთვის ჩვეული სიტყვებით ავადმყოფს სული გაუძლიერა და ევროპაში ჩასულს ავადმყოფობა აღარ აღმოაჩნდა...

მსჯელობა გავაგრძელოთ ადამიანის დაბადებით:

როდესაც დედის საშვილოსნოში მამრის სპერმის უმცირესი ნაწილაკები დაიწყებენ მოძრაობას მდედრის საკვერცხეებისაკენ, ამ მოძრაობას იწვევს მხოლოდ ის ელექტრომაგნიტური ველი, რომელიც იმ მომენტისათვის დედის ორგანიზმშია და სხვა ველებზე ძლიერია. ეს ელექტრომაგნიტური ველი თავის დროზე წარმოიქმნა პლანეტების განლაგებით, მასზე ზემოქმედება მოახდინა კლიმატმა ქვეყანაში, საზოგადოებაში, ოჯახში არსებულმა ზნეობრივმა მდგომარეობამ და ბევრმა სხვა რამემ. ველი ალბერტ აინშტაინის განმარტებით □არის მატერიის ერთადერთი მმართველი საწყისი□ რადგან ბუნებაში მრავალი ინტენსიობის, ტალღის სიგრძის და სხვა მახასიათებლების მქონე ველია, მეცნიერი მათ გულისხმობდა და არა ერთ ველს.

## ღმერთი, სამშობლო, ადამიანი



დედის საშვილოსნოში, საწყის მდგომარეობაში არსებულ ნაყოფში სისხლს ამოძრავებს ელექტრომაგნიტური ველი. სისხლი ნაყოფში წარმოიქმნა დედის და მამის სხეულების მიერ გამომუშავებული უმცირესი ნაწილაკებისაგან. ნაყოფის სისხლს გააჩნია გარკვეული სიდიდის რაღაც მუხტი, რომლის წყალობითაც ელექტრომაგნიტური ველი მას ამოძრავებს გარკვეული მიმართულებით. რაღაც სიდიდის მუხტის მქონე მოძრავი სისხლი ფიზიკის ცნობილი კანონის მიხედვით თვითონ ქმნის საკუთარ ელექტრომაგნიტურ ველს, რომელიც მისი გამომწვევი ელექტრომაგნიტური ველის წინააღმდეგია. ურთიერთსაწინააღმდეგო ველების არსებობა ზრდასრულ ადამიანებში უფრო თვალსაჩინოა და ალბათ ის ველებია □დამნაშავე□ადამიანებში რომ არსებობს ის, რასაც ჩვენ აურას ვეძახით.

**როგორც ვიცით, აურა არის დადებითი და უარყოფითი ნიშნის მატარებელი. ადამიანში თუ დადებითი აურა უფრო მეტია უარყოფითზე, ადამიანი კეთილია, კეთილ საქმეებს აკეთებს. ხოლო თუ უარყოფითი აურა მეტია დადებითზე, ადამიანი ბოროტი და სასტიკია.**

**ადამიანს რადგან ორივე აურა აქვს და მისი არსებობისთვის ორივე აუცილებელია, იგი უნდა ცდილობდეს, რომ ბალანსი იყოს დადებითი. ე.ი. ადამიანში სიკეთის კეთებისკენ მიდრეკილება დიდად უნდა სჭარბობდეს ბოროტებისკენ მიდრეკილებას.**

**უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II -მ თავისი მძლავრი დადებითი აურით იმოქმედა ავადმყოფის ელექტრომაგნიტურ ველზე, ე.ი. სული დიდად გაუძლიერა და სისხლი შევიდა იმ უჯრედებში, რომლებშიც ვერ შედიოდა.**

ასე მოიქცა ქრისტე, რომელმაც თავისი მძლავრი, დადებითი ელექტრომაგნიტური ველით იმოქმედა მიცვალებულის სხეულში გაჩერებულ სისხლზე და აამოძრავა იგი. მიცვალებული გაცოცხლდა.

2026 წლის 18-24 მაისის გაზეთ „ასავალ-დასავალში" გამოქვეყნდა ამერიკელი ბიოლოგის ბრიუს ლიპტონის წერილი □როგორ ცვლის ჩვენი ფიქრები, წყევლა და ლოცვა გენებს□

წერილში მოყვანილ მოსაზრებებზე კომენტარისაგან თავს შევიკავებთ. კარგი იქნება თუ ბატონი ლიპტონის ახალი ნაშრომი □დარვინის მიღმა□, რომელიც გაზეთის ინფორმაციით 2026 წლის აგვისტოში უნდა გამოიცეს, ჩვენი ბიოლოგები, ფიზიკოსები, ფილოლოგები გადმოთარგმნიან ქართულ ენაზე და მკითხველს მიაწოდებენ.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის და სხვა ფაქტების ანალიზით ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, ფასეულობათა დალაგება გამართლებულია მატერიალისტური გაგებითაც. როგორც იდეალიზმის, ისე მატერიალიზმის არსებობის მთავარი მიზანია ადამიანში ადამიანობის განმტკიცება.**

**ნუგზარ კობახიძე,**
ტ: 593 74 82 53.



26 მაისის დარბევა

# მოკეტეთ, ნაცებო!

**ვისაც ციხის კადრები, ადამიანის ღირსების სისტემური განადგურება და ის სისტემური ჯოჯოხეთი დღემდე „დადგმული“ გგონიათ, რამდენიმე ძალიან მარტივი, კონკრეტული და პირდაპირი კითხვა მაქვს თქვენთან!**



7 ნოემბრის სისასტიკე

# სიმართლეს ვერ მოკლავთ, მიცვალებულებს ვერ გააჩუმებთ!

26 მაისის სისხლიანი დარბევა, რუსთაველის გამზირზე ადამიანების უმოწყალოდ ცემა, ხელებაწეული მოქალაქეების დევნა, ალყაში მოქცევა, განადგურება და შემდეგ სახურავებზე აღმოჩენილი მიცვალებულები, ეგეც დადგმული იყო?

7 ნოემბრის ტერორი, ქუჩებში გაზით მოწამლული საზოგადოება, სპეცრაზმის მიერ უმოწყალოდ ნაცემი ადამიანები, დამოუკიდებელ ტელევიზიაში ავტომატებით შეჭრა და პირდაპირ ეთერში თავისუფალი სიტყვის ჩახშობა, ეგეც დადგმული იყო?

2007 წლის 10 აგვისტოს, გამომცემლობა „სამშობლოდან“ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დაუნდობლად გამოყრა და ღია ცის ქვეშ უპატრონოდ მიგდებაც დადგმული იყო?!

სანდრო გირგვლიანის გატაცება, წამება, ოქროყანის ტყეში სადისტური დასჯა და შემდეგ მთელი სახელმწიფო მანქანის მიერ მკვლელობის გადაფარვის მცდელობა, ეგეც დადგმული იყო?

ბუტა რობაქიძის ქუჩაში ჩაცხრილვა, ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლის წართმევა და შემდეგ საკუთარი დანაშაულის გადასაფარად იარაღების ჩადების ამაზრზენი სპეცოპერაცია, ეგეც დადგმული იყო?

კორტებთან ზურა ვაზაგაშვილისა და მისი მეგობრების საჩვენებელი ჩაცხრილვა შუაგულ ქალაქში, ყველას დასანახად, როგორც ადამიანებზე სახელმწიფოს ძალადობრივი ძალაუფლების დემონსტრაცია, ეგეც დადგმული იყო?

ნავთლუღის ე.წ. სპეცოპერაცია, სამი ახალგაზრდა კაცის ჩაცხრილვა, შემდეგ კი ამ ყველაფრის □ტერორისტულ საფრთხედ□შეფუთვის მცდელობა, ეგეც დადგმული იყო?

სპეცოპერაციების შავ რიტუალად ქცევა, როცა ადამიანი ჯერ უნდა მოეკლათ, მერე მისთვის იარაღი მიეწერათ, მერე ტელეეკრანიდან დამნაშავედ გამოეცხადებინათ და ბოლოს ოჯახისთვის გლოვის უფლებაც წაერთმიათ, ეგეც დადგმული იყო?

სულხან მოლაშვილის არაადამიანური წამება, დამწვარი სხეული, დამცირებული ღირსება და ადამიანის ფიზიკური განადგურება ციხის კედლებში, ეგეც დადგმული იყო?

პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საპყრობილეში წამებით ამოხდილი სული, ღირსების გათელვა და ადამიანის სიცოცხლის სისტემური განადგურება, ეგეც დადგმული იყო?

აგვისტოს ომის გმირის როინ შავაძის მხეცური წამება და ჩაცხრილვა, ეგეც დადგმული იყო?

აკადემიკოს გურამ შარაძის მელიქიშვილის ქუჩაზე, დღისით, მზისით დემონსტრაციული მკვლელობა, ეგეც დადგმული იყო?

ვალერი გელაშვილის სასიკვდილოდ ცემა, პოლიტიკურ ანგარიშსწორებად ქცეული ქუჩის ტერორი და ცოცხლად გადარჩენილი ადამიანის სასწაულებრივი ბედი, ეგეც დადგმული იყო?

2006 წლის ციხის სისხლიანი ბუნტი, ღამით საპყრობილეში შეყვანილი სპეცრაზმი, ცოცხალი ადამიანების წინააღმდეგ გამოყენებული სასიკვდილო ძალა, დაღუპული პატიმრები, დაშავებული ადამიანები და სისხლით შეღებილი საკნები, ეგეც დადგმული იყო?

წამლის ჩადება, იარაღის ჩადება, უდანაშაულო ადამიანის ერთ ღამეში □ნარკომანად□ □ბანდიტად□ □ტერორისტად□ან □სახელმწიფოს მტრად□ გამოცხადება, შემდეგ კი ტელეეკრანებიდან მისი ღირსების საჯარო დასაფლავება, ეგეც დადგმული იყო?

ის შავი პრაქტიკა, როცა ადამიანს ჯერ აკავებდნენ, მერე □მტკიცებულებას□უჩენდნენ, მერე სასამართლოს წინასწარ დაწერილ განაჩენს აკითხებდნენ და ბოლოს მთელ ოჯახს აიძულებდნენ, ან გაჩუმებულიყო, ან გადარჩენისთვის ევაჭრა, ეგეც დადგმული იყო?

იარაღის და ნარკოტიკის ჩადებით ადამიანების გატეხვა, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, არასასურველი ახალგაზრდების, აქტიური მოქალაქეების და დაუმორჩილებელი ადამიანების კრიმინალებად გადაღებვა, ეგეც დადგმული იყო?

ის ქვეყანა, სადაც პოლიციური მანქანა ადამიანს დანაშაულს კი არ უმტკიცებდა, არამედ საჭიროების შემთხვევაში დანაშაულს თვითონ უქმნიდა, ნივთმტკიცებას თვითონ უგონებდა, ბრალს თვითონ აკერებდა და მერე ამ ყველაფერს □კანონის უზენაესობას□ეძახდა, ეგეც დადგმული იყო?

ფოტორეპორტიორების საქმე, მაისის დარბევის კადრების გადაღებისთვის ადამიანების ჯაშუშებად გამოცხადება, შუაღამისას სახლში შევარდნა, ფსიქოლოგიური წნეხი და პროფესიის სახელმწიფო დანაშაულად ქცევა, ეგეც დადგმული იყო?

ჟურნალისტებზე ნადირობა, კამერების დამტვრევა, გადაღებული მასა-



ზურა ვაზაგაშვილის დახვრეტა




გამომცემლობა „სამშობლოს“ წაღლეჯის საწინააღმდეგო აქცია



გურამ შარაძის მკვლელობა



ვალერი გელაშვილის ცემა



სერგო თეთრაძის აღსასრული

ლის წართმევა, ქუჩაში ნაცემი ოპერატორები და რეპორტიორები, რომლებიც რეჟიმის მიერ ჩადენილ ძალადობას პირდაპირ ფაქტად აფიქსირებდნენ, ეგეც დადგმული იყო?

„იმედში“ სპეცრაზმის შეჭრა, ჟურნალისტების დაშინება, ეთერის გათიშვა და მთელი ქვეყნის თვალწინ თავისუფალი მედიის სამხედრო ძალით გაჩუმება, ეგეც დადგმული იყო?

ტელევიზიების დაპატრონება, დამოუკიდებელი მედიის დახურვა, ბიზნესზე ზეწოლით სარედაქციო პოლიტიკის კონტროლი და მთელი საინფორმაციო სივრცის ერთი პოლიტიკური კაბინეტიდან მართვა, ეგეც დადგმული იყო?

2010 წლის ის სამარცხვინო ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი, როცა ტელეეთერიდან ხალხს რუსული შემოჭრის, ხელისუფლების დამხობის და სახელმწიფო კატასტროფის იმიტაცია აყურებინეს, პანიკაში ჩააგდეს ქვეყანა და შემდეგ ამას „სატელევიზიო ფორმატი“ დაარქვეს, ეგეც დადგმული იყო?

უკანონო ფარული ჩანაწერების მთელი არქივი, საძინებლებში, კაბინეტებში, პირად სივრცეებში შემძვრალი სახელმწიფო, ადამიანების პირადი ცხოვრების შანტაჟის იარაღად ქცევა, ეგეც დადგმული იყო?

ათასობით ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერი, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, აქტივისტების, ბიზნესმენების და ჩვეულებრივი მოქალაქეების მოსმენა, თვალთვალი, დაშანტაჟება და მართვა, ეგეც დადგმული იყო?

პირადი ცხოვრების კადრებით ადამიანის გატეხვის, გაჩუმების და მორჩილებაში ჩაგდების სისტემა, ეგეც დადგმული იყო?

„ნულოვანი ტოლერანტობის“ სახელით ქუჩებში გაჩაღებული ნადირობა ახალგაზრდებზე, დაპატიმრებებით დაშინებული საზოგადოება, ათასობით განადგურებული ოჯახი და პროგაციონერებად ქცეული მთელი თაობა, ეგეც დადგმული იყო?

საპროცესო გარიგებების ბიზნესად ქცევა, ადამიანების ჯერ დაჭერა, მერე ოჯახის გაკოტრება, მერე თავისუფლების სანაცვლოდ ფულის გამოწურვა და ამას „მართლმსაჯულების რეფორმის“ დარქმევა, ეგეც დადგმული იყო?

ქონების მასობრივი ახევა, ბიზნესმენების ღამის საათებში ნოტარიუსებთან მიყვანა, მილიონიანი ქონებების „ნებაყოფლობით ჩუქება“, შიშით დაწერილი ხელმოწერები და სახელმწიფოს სახელით დაკანონებული რეკეტი, ეგეც დადგმული იყო?

ბიზნესმენების კაბინეტებში დაბარება, პროკურატურის ოთახებში მორალურად გაშიშვლება, ოჯახის წევრებით დაშანტაჟება, ცოლ-შვილზე, დედ-მამაზე, ძმაზე, ახლობლებზე მუქარა და ქონების დათმობის იძულება, ეგეც დადგმული იყო?

ის ჯოჯოხეთური მუქარები, როცა ადამიანს ეუბნებოდნენ, რომ ოჯახს გაუნადგურებდნენ, ახლობლებს დაუჭერდნენ, შვილს მომავალს წაართმევდნენ, ცოლ-შვილს შეურაცხყოფდნენ, დაამცირებდნენ და ამ ყველაფერს თვალწინ აყურებინებდნენ, ეგეც დადგმული იყო?

ქონების ახევის შემდეგ გამარჯვებული სახეებით გამოსვლა და ხალხისთვის იმის მოყოლა, თითქოს ბიზნესმენმა მილიონიანი ქონება სახელმწიფოს ნებაყოფლობით „აჩუქა“, თითქოს ადამიანი შუაღამისას შიშისგან კი არა, პატრიოტული აღმაფრენით მიდიოდა ნოტარიუსთან, ეგეც დადგმული იყო?

გათუმში, სიღნაღში, ქობულეთში, ანაკლიაში და სხვა „ახალ ტურისტულ ზონებში“ ადამიანებისთვის ქონების ჩამორთმევა, მშობლიური სახლებისა და მიწების ძალით დაცლა, კერძო საკუთრების სახელმწიფო დეკორაციად გადაქცევა, ეგეც დადგმული იყო?



ბუტა რობაქიძის მკვლელობა

საჯარო სამსახურებიდან ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნა, სამსახურის დაკარგვის შიშით გაჩუმებული პედაგოგები, მოხელეები, ექიმები და რიგითი მოქალაქეები, ეგეც დადგმული იყო?

საარჩევნო ტერორი, ადმინისტრაციული რესურსის ბულდოზერივით გადავლა, საჯარო მოხელეების მობილიზება, ბიზნესმენებისგან ფულის გამოწურვა და არჩევნების სახელმწიფო ოპერაციად ქცევა, ეგეც დადგმული იყო?

სასამართლოს ნოტარიუსად ქცევა, პროკურატურის პოლიტიკურ სადამსჯელო ორგანოდ გადაკეთება და მოსამართლის სკამის რეჟიმის ბეჭდად გამოყენება, ეგეც დადგმული იყო?

ის სისტემა, სადაც პროკურორი გამომძიებელი კი არ იყო, არამედ რეკეტიორი კოსტიუმში; მოსამართლე მართლმსაჯულების მსახური კი არა, რეჟიმის ბეჭედი; პოლიციელი კანონის დამცველი კი არა, პოლიტიკური დავალების შემსრულებელი; ხოლო ბიზნესმენი მოქალაქე კი არა, დასაწველი რესურსი, ეგეც დადგმული იყო?

ადამიანების დაჭერა არა იმიტომ, რომ დამნაშავეები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ფული ჰქონდათ, ქონება ჰქონდათ, ტელევიზია ჰქონდათ, გავლენა ჰქონდათ, პოლიტიკური პოზიცია ჰქონდათ, ან უბრალოდ ნაცებს თვალში არ მოუვიდნენ, ეგეც დადგმული იყო?

მერაბიშვილის პოლიციური სახელმწიფო, სადაც პოლიციელი კანონის დამცველი კი არა, რეჟიმის ნერვული სისტემა იყო, ხოლო მოქალაქე არა უფლებების მქონე ადამიანი, არამედ დასაშინებელი ობიექტი, ეგეც დადგმული იყო?

მთელი ქვეყნის ფსიქოლოგიურ გალიაში შეყვანა, როცა ადამიანი საკუთარ სახლში ხმამაღლა ლაპარაკს ერიდებოდა, ტელეფონზე ფრთხილობდა, სამსახურში ჩუმდებოდა, ბიზნესში მორჩილდებოდა და ქუჩაში პოლიციელის დანახვაზე დაცულობის ნაცვლად საფრთხეს გრძნობდა, ეგეც დადგმული იყო?

ის საქართველო, სადაც სახელმწიფო ადამიანის ღირსებას ჯერ აუპატიურებდა, მერე ქონებას ართმევდა, მერე თავისუფლებას უქრობდა, მერე ყველაფერს რეფორმის, წესრიგის, მოდერნიზაციისა და „ნულოვანი ტოლერანტობის“ გრჭყვიალა სიტყვებით ფარავდა, ეგეც დადგმული იყო?

ის სისხლი, ის წამება, ის ცრემლი, ის დამცირება, ის დანგრეული ოჯახები, ის დაღუპული ახალგაზრდები, ის ცოცხლად დამარხული ღირსება და ის მთელი თაობის მეხსიერებაში ჩაბეჭდილი სახელმწიფოებრივი სადიზმი, ეგეც დადგმული იყო, თქვენ სულით, გონებით, გულით და ხორცით ავადმყოფებო?

არა, ეს ყველაფერი დადგმული არ ყოფილა.

დადგმული იყო მხოლოდ თქვენი სინდისის იმიტაცია.

დადგმული იყო თქვენი მორალის დეკორაცია.

დადგმული იყო თქვენი „რეფორმატორობის“ თეატრი.

დადგმული იყო ის ცინიკური ნიღაბი, რომლითაც დღემდე ცდილობთ, სისხლს საღებავი დაარქვათ, წამებას – მონტაჟი, ტერორს – რეფორმა, ქონების ახევას – სამართალი და სახელმწიფო სადიზმს ისტორიული აუცილებლობა.

ამ ყველაფრის უარყოფა, უბრალოდ, პოლიტიკური სიჯიუტე არ არის. ეს არის მორალური სიმახინჯე. ეს არის ისტორიული დანაშაულის გამართლება. ეს არის მსხვერპლთა სულებში ჩაფურთხება და ჯალათების მხარეს შეგნებულად დადგომა.

ვინც ამ ტრაგედიებს „დადგმულს“ უწოდებს, ის უბრალოდ უტიფარი კი არა, იმ სისხლიანი სისტემის იდეოლოგიური ნარჩენია. ის იმ რეჟიმის მორალური გამგრძელებელია, რომელიც ადამიანს ჯერ ღირსებას ართმევდა, მერე თავისუფლებას, მერე ქონებას, ბოლოს კი, საჭიროების შემთხვევაში, სიცოცხლესაც.

სინამდვილეში, ეს იყო სახელმწიფო მანქანად ქცეული შანტაჟი, კანონის ენაზე ნათარგმნი ბანდიტიზმი, პროკურატურის კაბინეტებში დაკანონებული რეკეტი და პოლიციური ძალაუფლებით შენიღბული პოლიტიკური სადიზმი.

ასეთ რეჟიმს ცივილიზებულ სახელმწიფოს კი არა, ადამიანებზე ექსპერიმენტების ლაბორატორიას ეძახიან.

მაგრამ ეს ქვეყანა ბრმა არ არის; ეს საზოგადოება მეხსიერებადაკარგული არ არის; ეს სისხლი მიწას არ შეშრობია; ეს ტკივილი არქივში არ ჩაკეტილა; ისტორიას თქვენი ავადმყოფური ნარატივებით ვერ გადაწერთ; სისხლს ვერ გააუფერულებთ; წამებას ვერ გააქრობთ; მიცვალებულებს ვერ გააჩუმებთ; და სიმართლეს ვერ მოკლავთ!!!

**ირაკლი ქიფიანი**



ნაწამები სანდრო გირგვლიანი



ტვ „იმედის“ დარბევა

**„ხიდი და არა დაბრკოლება“: არის თუ არა სომხეთი ახალი გზაჯვარედინი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის?“** – ასეთი სათაური აქვს ბრიტანული გაზეთის „გარდიანის“ **(The Guardian)** მიერ გამოქვეყნებულ სტატიას (ავტორი – **პატრიკ ვინტური**), რომელშიც განხილული და გაანალიზებულია სომხეთის მდგომარეობა 7 ივნისის საპარლამენტო არჩევნების წინ.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

**TheGuardian**



# „ხიდი და არა დაბრკოლება“: არის თუ არა სომხეთი ახალი გზაჯვარედინი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის?

**ერევანს რომ მსოფლიოს ცენტრი უწოდო – ლიბერალური ფასეულობების მქონე მიმზიდველ ქალაქს, რომელშიც საბჭოური არქიტექტურის დიდებულ შენობებს უხვად ნახავთ – რა თქმა უნდა, გადაჭარბებული იქნებოდა. მაგრამ სომხეთის მტკიცება, რომ ქვეყანა შეიძლება ევრაზიის სტრატეგიული გზაჯვარედინი გახდეს, სულ უფრო ნაკლებად ფანტასტიკურად მოჩანს. 7 ივნისს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, დღეს კი, როგორც მოვლენები აჩვენებს, სომხეთი „ბაბირის გადაწევის“ ცენტრშია მოხვედრილი – რუსეთს, აშშ-ს, თურქეთს, ევროპასა და აზერბაიჯანს შორის.**

სომხეთის მიმართ ინტერესი ნაწილობრივ გამოწვეულია აზერბაიჯანთან კონფლიქტის შეწყვეტის გამო და იმით, რომ ერევანს შეუძლია იზოლაციიდან გამოვიდეს და „შუა დერეფნის“ ნაწილი გახდეს – ასე უწოდებენ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მარშრუტს, რომელიც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებს და მიემართება რუსეთის (ანუ „ჩრდილოეთის დერეფნის“) და სუეცის არხის გვერდის ავლით.

„აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმოკლესი გზა სომხეთზე გადის“, ამბობს პრემიერ-მინისტრი. იგივეს აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრიც არარატ მირზოიანიც: „მთავრობის მიზანია გადააქციოს სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა სტრატეგიულ რესურსად“.

**ე.წ. „დონალდ ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და აყვავებისათვის“ (TRIPP) სამხრეთ კავკასიის კომუნიკაციის ახალი არქიტექტურის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი გახდება.**

ასეთი გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომლის მთავარ შემადგენელ ნაწილად, პროგრამის სახით, ნიკოლ ფაშინიანი ამომრჩეველს თავის მესამე ვადას სთავაზობს, სომხეთის სამომავლო თვითშემეცნებასაც ეხება. თუ „რეალური სომხეთი“ (ანუ დღევანდელი სომხეთი) არჩევნებში მხარს ისევ ნიკოლ ფაშინიანის პარტიას „სამოქალაქო შეთანხმებას“ დაუჭერს, მისი მესამე ვადით მმართველობის დროს სომეხი ხალხი ძველი ჩაციკლული აზრებისგან გათავისუფლდება - იგულისხმება დაკარგული ტერიტორიები და ისტორიული წყენები.

„რეალური სომხეთის“ დოქტრინა ითვალისწინებს მტკივნეული სამშვიდობო შეთანხმების დადებას მეზობელ აზერბაიჯანთან, განდგომას რუსეთისაგან და წასვლას ევროკავშირისაკენ. ეს ის არის, რასაც პარტია „სამოქალაქო შეთანხმება“ საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირებას უწოდებს. თუმცა ამ მიმართულებით პარტიის საქმიანობა სკანდალებისგან დაზღვეული არ არის. ვთქვათ, სომეხთა გენოციდის მუზეუმის დირექტორის გათავისუფლება თანამდებობიდან იმ მიზეზით, რომ მან ერევანში მყოფ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯეიმს ვენსს წიგნი აჩუქა აზერბაიჯანელების მხეცობის შესახებ, ან ის ფაქტი, რომ სომხური პასპორტიდან გაქრა შტამპი სომხეთის ეროვნული სიმბოლოს – არარატის მთის გამოსახულებით, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

**წინასწარი გამოკითხვები აჩვენებენ, რომ „სამოქალაქო შეთანხმებას“ შეუძლია არჩევნებში გაიმარჯვოს: ეს იქნება დიდი პარადოქსული მიღწევა პარტიისათვის, რომლის მმართველობის დროსაც სომხეთმა ორი დამამცირებელი მარცხი იწვნია აზერბაიჯანისგან 2020 და 2023 წლებში. მეორე მარცხის დროს, 2023 წელს, მთიანი ყარაბაღის სომხური ანკლავიდან უმოკლეს ვადაში 100 ათასი სომეხის იძულებით გამოდევნა მოხდა. ლტოლვილები დღეს ერევანში ცხოვრობენ და ეშინიათ, რომ თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას ყარაბაღში (არცახში) სამუდამოდ დაკარგავენ. ამ ეტაპზე 19 სომეხი სამხედრო ტყვე ჯერ კიდევ ბაქოს ციხეში რჩება, მათ შორის, ყარაბაღის სომხური მთავრობის მინისტრი რუბენ ვარდანიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნიკოლ ფაშინიანმა ყარაბაღს უღალატა.**

სომხეთში საარჩევნო კამპანია თავის პიკს უახლოვდება. ნიკოლ ფაშინიანი ძალ-ღონეს და ენერგიას არ იშურებს, რომ სოციალურ ქსელებში ყველას აჩვენოს თავისი მრავალფეროვანი საქმიანობის ნიუანსები ვიდეოკადრებით – აქტიურობა დილის 5 საათიდან, ნამცხვრების ჭამით დაწყებული და რუსი როკ-ვარსკვლავის ზემფირას მოსმენით დამთავრებული. მას აქვს ასევე ჩვევა, რომ განგებ ჩაერთოს ამომრჩევლებთან მძაფრ დავა-დისკუსიებში, რომლის დროსაც იგი ოპოზიციის ლიდერებს „ტვინო ჯაშუშებს“ უწოდებს და თან ლიკვიდაციითაც ემუქრება.

**ნიკოლ ფაშინიანის წინააღმდეგ გამოდის მინიმუმ სამი პრორუსული ნაციონალისტური პარტია, „ძლიერი სომხეთის“ ჩათვლით, რომელსაც რუსი-სომეხი მულტიმილიარდერი სამველ კარაპეტიანი ხელმძღვანელობს, მან შექმნა კომპანიათა ჯგუფი „ტაშირი“, რომელიც რუსეთში მრავალმხრივ ბიზნესს, ხოლო სომხეთში ელექტროქსელებს ფლობს. გასულ კვირას სამველ კარაპეტიანმა ნიკოლ ფაშინიანი სერიოზულად დაადანაშაულა იმაში, რომ მან ჩინეთში ყოფნისას ჰალუცინაციის გამომწვევი სოკოები დააგემოვნა და ახლა სომხეთში ტონობით ასეთი სოკოს იმპორტს ახორციელებს, მას მთავრობის სხდომების წინ მიირთმევს (და შესაბამისად, ჰალუცინაციებში იმყოფება). ნიკოლ ფაშინიანმა კი საპასუხოდ განაცხადა, რომ სამველ კარაპეტიანს სასამართლოში უჩივლებს ასეთი ბრალდების გამო.**

სამველ კარაპეტიანი სომეხ ამომრჩევლებს ჰპირდება, რომ შექმნის „სქესის სამინისტროს“ დემოგრაფიული კრახის თავიდან ასაცილებლად. იმის დამადასტურებლად, თუ როგორ არის ერთმანეთთან გადახლართული ბიზნესი და პოლიტიკა, გახდა მისი ბრძოლა სომხეთის ელექტროქსელების ნაციონალიზაციის პირობების წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა დამცველები, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკელი კენეტ როტი, **Human Rights Watch**-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, აცხადებენ, რომ ნიკოლ ფაშინიანის პოპულისტური მმართველობა თითქმის ავტოკრატიას უთანასწორდება. მათ უჩნდებათ კითხვა – სწორად იქცევიან თუ არა ევროპელი ლიდერები, მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, რომელიც ძლიერ მხარდაჭერას უწევს სომხეთის პრემიერ-მინისტრს?

ამასობაში სამველ კარაპეტიანი ნიკოლ ფაშინიანს ერის ღალატშიც ადანაშაულებს იმის გამო, რომ იგი უდიდეს დათმობებზე წავიდა აზერბაიჯანთან მიმართებით და აფრთხილებს, რომ თუ პრემიერ-მინისტრად ისევ ის იქნება არჩეული, „ჩვენ რუსეთის პროვინცია კი არ გავხდებით, არამედ აზერბაიჯანის პროვინცია“. სამველ კარაპეტიანისთვის ასეთ ვითარებაში სამაგალითოდ ითვლება მეზობელი საქართველოს მმართველი პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებაში 2012 წლიდან იმყოფება.

**ნიკოლ ფაშინიანის მოკავშირეები – ისეთები, როგორიცაა სომხეთის პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობების მუდმივი კომიტეტის წევრი მარიამ კარაპეტიანი, ამტკიცებენ, რომ პრორუსული ორიენტაციის მქონე ოპონენტებს არ აქვთ ისეთი პროგრამა, რომელიც „რეალური სომხეთის“, ანუ სამომავლო სომხეთის - „მეოთხე რესპუბლიკის“ კონცეფციას შეედრება. მისი თქმით, მათ (ანუ სამველ კარაპეტიანის მომხრეებს) „გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ ყარაბაღელ სომხებს უკან დაბრუნების რეალური ვარიანტი აქვთ, ისინი გვთავაზობენ, რომ ეს საკითხი ღიად დარჩეს სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დღის წესრიგში. მაგრამ ეს ნიშნავს ომის, კონფლიქტის დაბრუნებას. თუ თქვენ გეგმა არ გაქვთ, ესე იგი, იძულებული გახდებით გარკვეული ფასი გადაიხადოთ - სომხეთის სუვერენიტეტის დაკარგვის სახით“.**

თეთრ სახლში ხელმოწერილი სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო დეკლარაციის რატიფიცირების გზაზე უკანასკნელი დაბრკოლებაა აზერბაიჯანის მოთხოვნა, რომ ერევანმა კონსტიტუციიდან ამოიღოს მოწოდება მთიან ყარაბაღთან გაერთიანების შესახებ. თუმცა სომხეთი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ უარი თქვა ნებისმიერ ტერიტორიულ პრეტენზიაზე ვაშინგტონში ხელმოწერილ დეკლარაციაში.

იცის რა, რომ ბაქოსათვის ყარაბაღის კუთვნილების საკითხი მთავარ წითელ ხაზს წარმოადგენს, ნიკოლ ფაშინიანის პარტია „სამოქალაქო შეთანხმება“ აცხადებს, რომ ხელახლა დაწერს კონსტიტუციას, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ ქვეყნის ძირითადი კანონის ცვლილება აზერბაიჯანის მხრიდან ზეწოლით კი არ ხდება, არამედ სომეხთა საკუთარი სურვილის თანახმად.

„სამოქალაქო შეთანხმების“ გამარჯვების შანსები მოიმატებს, თუ აზერბაიჯანი თავის მოთხოვნას არჩევნებამდე შეარბილებს, მაგრამ წავა ბაქო კომპრომისზე? ერევანი უკვე რამდენიმე თვეა ელოდება, რომ თურქეთი 1993 წელს დახურულ საზღვარს გახსნის, მაგრამ ანკარა ჯერ „ყურს არ იბერტყავს“. კარგი იქნებოდა და ნიკოლ ფაშინიანს დაეხმარებოდა ბაქოს ციხიდან 19 სომეხი ტყვის გათავისუფლებაც, მაგრამ ბაქოც ჯერ ჩუმად არის.

ვლადიმერ პუტინმა **ამას წინათ სომხეთს რეფერენდუმის ჩატარება შესთავაზა საკითხზე – სურთ თუ არა სომხებს იყონ ევროკავშირის წევრები, ან დარჩნენ რუსების მიერ კონტროლირებად ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრებად.**

**რუსეთის პრეზიდენტი ამ საკითხს საპარლამენტო არჩევნების წინ აყენებს იმიტომ, რომ იცის – ევროკავშირის წევრობა სომხეთისათვის ჯერჯერობით მხოლოდ თეორიულ საკითხად რჩება. ამას იგი იმიტომ აკეთებს, რომ დისკუსიების პროვოცირება მოახდინოს განხეთქილების შემტან საკითხზე იმ მიზნით, რომ ხალხი თვითონ დარწმუნდეს – პრორუსული კანდიდატების არჩევა მათთვის უფრო მომგებიანია.**

ჯერჯერობით რუსეთი მხოლოდ შედარებით სუსტ სიგნალებს უგზავნის ერევანს თავისი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებაზე სომხეთის პროევროპული პოზიციის მიმართ. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ მოსკოვმა აკრძალა სომხური პროდუქციის იმპორტი რუსეთში, მათ შორის მინერალური წყალი „ჯერმუკიც“. როგორც ტიგრან გრიგორიანი ამბობს, „წითელ ხაზად“ შეიძლება იქცეს სომხეთის რკინიგზების ნაციონალიზაციის საკითხი, რომელსაც ამჟამად რუსეთი აკონტროლებს და ვალებში „ყელამდეა“ ჩაფლული.

ვლადიმერ პუტინის ყურადღება უკრაინით რომ არ იყოს დაკავებული, მას შეეძლო, ვთქვათ, სუბსიდიების გაუქმება სომხეთისთვის მიწოდებულ იაფფასიან ბუნებრივ გაზზე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია გაზის მიწოდება მთლიანად შეწყვიტოს.

**ემანუელ მაკრონი, რომელიც სომხეთს ორიოდე კვირის წინ ეწვია სახელმწიფო ვიზიტით და მონაწილეობა მიიღო „ევროპის პოლიტიკური გაერთიანების“ ფორუმში, რუსეთი ღალატში დაადანაშაულა და არამარტო უკრაინის საკითხში: დაიმოწმა რა ის ფაქტი, რომ რუსეთი, მთიანი ყარაბაღის ომის დროს, სომხეთს არ დაეხმარა, ფრანგმა ლიდერმა განაცხადა: „რუსეთი სომხეთის გვერდით არ დამდგარა ისევე, როგორც არ დადგა ვენესუელის, სირიისა და ირანის გვერდით“. ნიკოლ ფაშინიანი უფრო შორს წავიდა: მან ხელი ჩამოართვა ვოლოდიმირ ზელენსკის და ისინი ნაცვლად რუსულისა, განგებ ლაპარაკობდნენ ინგლისურად, რითაც კრემლის განრისხებას ცდილობდნენ...**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**



**დავით ახლოური:**
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი.

# თვალი გავუსწოროთ მომავალს

## ქარჩოხის ხეობიდან ატენის ხეობამდე

**1804 წელს, პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით: ჭორჭოხში 30 ოჯახი ცხოვრობდა: გალხამიშვილები, საგიაშვილები, ქაწაშვილები, გუთხუზები, ფოცხვერაშვილები, ფოციტაშვილები, შერმაზანაშვილები, რომლებიც აღწერაში შეცდომით ზაზანაშვილებად არიან მიწერილნი.**

სულ 120 მამრობითი და 73 მდედრობითი სქესის (193 სული); ახალდაბაში (ბალაანი) 3 კომლია, თინიკაშვილები (შემდეგში მოურავის მამის პატივსაცემად ბალაშვილებად დაეწერნენ), მარტიაშვილები და ბალხამიშვილები, სულ 28 მამაკაცი და 18 ქალი (46 სული). შატაკიანთკარში – 15 კომლი, შატაკიშვილები და პავლიაშვილები, 57 მამაკაცი და 45 ქალი (102 სული). პავლიანთკარში – 14 კომლი, პავლიაშვილები, 77 მამაკაცი, 56 ქალი (133 სული). თინიკაანთკარში – 11 კომლი, თინიკაშვილები, ლოთიშვილები, შადნიაშვილები, 52 მამაკაცი და 43 ქალი (95 სული). კარელთკარში (ადრინდელი ვაკე) □ 8 კომლი, კარელიძეები, ხოკრიშვილები, 44 მამაკაცი და 36 ქალი (80 სული). კვერიათში – 7 კომლი, წიპტაურები, 28 მამაკაცი და 12 ქალი (40 სული). მიდელაანთკარში – 8 კომლი, მიდელაშვილები, 38 მამაკაცი და 30 ქალი (68 სული). ხოზოეთში – 9 კომლი, გამხიტაშვილები, გაროზაშვილები, ოგბაძეები, ქენქაძეები, 36 მამაკაცი და 21 ქალი (57 სული). ქენქაანთკარში – 10 ოჯახი, ქენქაძეები, 43 მამრობითი და 34 მდედრობითი სქესის (77 სული). გოლგოლეთში – 10 კომლი, ქენქაძეები, 32 მამაკაცი და 27 ქალი (59 სული). ლომისაში (8 კომლი, 31 მამაკაცი და 29 ქალი, სულ: 60 სული), ოხირის ხეობაში (37 მამაკაცი, 35 ქალი, სულ: 72 სული) და ძაბოეთში (15 კომლი, 77 მამაკაცი, 45 ქალი, სულ: 122 სული) ოსები ცხოვრობდნენ. იმ დროისთვის ქარჩოხში სულ 14 სოფელი იყო, 11 ქართველებით და 3 ოსებით დასახლებული, 125 კომლი ქართველები და 31 კომლი ოსები. მცხოვრებთა რაოდენობა 1204 სულს შეადგენდა, 950 ქართველი, 254 ოსი. აქედან 700 მამრობითი სქესის (555 ქართველი, 145 ოსი), 504 მდედრობითი სქესის (395 ქართველი, 109 ოსი).

როგორც ვხედავთ, ქარჩოხში ჭარბი მოსახლეობა იყრის თავს. რაც შეხება ატენის ხეობას, რომელიც მდინარე ტანის აუზს მოიცავს (გორის მუნიციპალიტეტის სამხრეთი ნაწილი), XIX საუკუნის დასაწყისში ლეკთა განუწყვეტელი თარეში გამო იავარქმნილი და მოსახლეობისგან დაცლილი ყოფილა. როგორც ს. მაკალათია სოფელ ბოშურზე საუბრისას აღნიშნავს, იგი, □ახლოს იყო ტანას სათავესთან, საიდანაც გადმოდიოდნენ ლეკები და მოსახლეობას აწიოკებდნენ... ეს მხარე ყოფილა უკაცრიელი და ერისთავს აქ დაუსახლებია ქსნისა და არაგვის ხეობიდან მთიულები“. ატენის ხეობაში მთიელთა გადასახლება გიორგი იასეს ძე ერისთავის (1759 – 3 ნოემბერი, 1863) სახელს უკავშირდება. □დიდი კნიაზი□გიორგი იყო ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელი, ქართლ-კახეთის სამეფოს სარდალი, სენატორი, რუსეთის იმპერიის ინფანტერიის გენერალი და □ატენის ბატონი□. მისთვის ატენის ხეობის სახაზინო მიწები გენერალ ერმოლოვს იმ მიზნით გადაუცია, რომ შემდგომში იქ საკუთარი გლეხებიდან ანუ ქსნის ხეობიდან 50 ოჯახი დაესახლებინა. ეს აუცილებლობა უკავშირდებოდა ატენის ხეობის გაუდაბურებას, რაც მძარცველთა შიშით იყო გამოწვეული... იქ ჩასახლებულ მთიულებს სალეკო გზები უნდა ჩაეკეტათ. ზემოთ თქმულის დასტურია წერილი, რომელიც 1819 წლის 15 აპრილს ერმოლოვმა თბილისიდან პეტერბურგში ფინანსთა მინისტრის სახელზე გააგზავნა: □**მხარის სარგებლის აუცილებლობა მაიძულებს მოვახსენო თქვენს უმაღლესობას, რომ გავეცი აუცილებელი განკარგულება გორის მაზრის ატენის სახაზინო მიწების თავადის, გენერალ-მაიორის ერისთოვისთვის გადაცემის შესახებ, რათა მან იქ დაასახლოს 50 ოჯახი საკუთარი გლეხებიდან. ხეობა იგი, ახლომდებარე ახალციხის საფაშო საზღვრისა, ჯერ კიდევ უკანასკნელი ქართველი მეფეების დროიდან და რუსული მმართველობის დროსაც რჩებოდა უდაბური მძარცველთა შიშის გამო, ყოველთვის წარმოადგენდა ბუდეს უცხოელი ყაჩაღებისთვის, რომლებიც აწარმოებდნენ ქართლის ძარცვას. მთავრობას კი აქამდე არ ჰქონდა არც შემთხვევა, არც საშუალება დაესახლებინა იგი სახაზინო გლეხებით, იმ რაოდენობის ოჯახებით, რომ საკმარისი ყოფილიყო, რათა მათ დაეყენებინათ გუშაგები და დაეცვათ თავი, ჯარის მხარდაჭერის გარეშე, რადგან ამ უკანასკნელის გაგზავნა იქ, სიშორის გამო იქნებოდა ფრიად შეუძლებელი. ახლა სარგებელი რომელიც მე გავითვალისწინე ასეთი განკარგულებით, სინამდვილეში უკვე გამართლებულია. რადგან ამ ხეობაში გენერალ-მაიორის თავადის ერისთოვის მიერ, გასული წლის ზაფხულში, საკუთარი 50 ოჯახი გლეხის ჩასახლებით, უკვე 10 თვეზე მეტი არ მომხდარა მის მიმდებარე ადგილებში უმცირესი ძარცვაც კი“.**

ატენის ბატონს გიორგი ერისთავს ახალ სამფლობელოში, ძირითადად, ქარჩოხიდან გადაუსახლებია ყმები. დღეს იქ მაცხოვრებელი შატაკიშვილები, თინიკაშვილები, კარელიძეები, მიდელაშვილები, პავლიაშვილები, ბალაშვილები, ლოთიშვილები... თავის დროზე ქარჩოხის მკვიდრნი იყვნენ.

ატენში დასამკვიდრებლად, მთიელები შემთხვევით არ შეურჩევიათ, მთის ხალხი მებრძოლი ხალხი იყო, ჯიუტი სულის და მტერს ადვილად არაფერს დაანებებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ გადასახლებულთა შორის რჩეულები იქნებოდნენ.



ბეჟუანის კოშკი – სოფელი ქარჩოხი

ქარჩოხის ხეობის მოსახლეობის გორის სამხრეთით დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა, XIX-XX საუკუნეების დემოგრაფიული ნუსხების მიხედვით, მთის მოსახლეობის ბარში მიგრაცია ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა, რაც ტანის ხეობის ტოპონიმიკაზეც აისახა. მაგალითისთვის მოვიყვანოთ □ყველაანთ უბანი□, რომელიც აქ ქარჩოხის ხეობის მეზობელ ცხრაზმიდან ჩამოსახლებული ყველაშვილების სამკვიდრო გახდა.

## გოლგოლეთელთა გოლგოთა

**ნასოფლარი გოლგოლეთი მდებარეობს ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის ქარჩოხის თემში, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, სოფელ ქენქაანის სამხრეთ-დასავლეთით. გოლგოლეთი ქსნის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომელიც მოხსენიებულია X საუკუნის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში, სახელწოდებით □გოგოეთი“.**

თუმცა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებში სოფლის სახელწოდებად გვხვდება გოლგოლეთი, განსხვავებით, რუსული კამერალური აღწერებისა, სადაც მითითებულია ძველი სახელწოდება □გოგოეთი. დღეს, ქარჩოხის ხეობის მოსახლეობაში თითქმის აღარავისთვისაა ცნობილი გოლგოლეთის წარსული, მაგრამ ხალხის ხსოვნას ბოლოდრომდე შემორჩა სალოცავებში დეკანოზის ტრადიციული დალოცვა: □**გაუმარჯოთ ხოზოვლებსა, გოგოვლებსა, ქენქათა და მიდელათა**“... ქვემო ქარჩოხის ოთხ მეზობელ სოფელს ერთად ამწყალობებდნენ. გოგოვლებში გოლგოლეთელებს გულისხმობდნენ.

დემოგრაფიულ ნუსხებსა და ქსნური ზეპირსიტყვიერების მასალებზე დაყრდნობით, ასევე სოფელ ქენქაანის მკვიდრთა მონათხრობითა და ნასახლარებზე დაკვირვებით, ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია სოფლის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და რელიგიურ ყოფაზე საუბარი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთრის მიხედვით, გოლგოლეთში 7 კომლი ცხოვრობდა, 5 კომლი ქენქაძედაა აღწერილი, ერთი კომლი ბეჟუაშვილად და ერთიც □ ზაქუტაშვილად.

გადასახადებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გოლგოლეთელებს უფრო მეტი მამულები უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მეზობელი ქენქაანის მცხოვრებლებს. სამთავისის დავთრის მიხედვით, ქენქაანელები იხდიან პურს სამი ან ოთხი ჩანახის ოდენობით, ცხვარს ან თხას, ქათამს და ხუთ კვერცხს, ხოლო გოლგოლეთში მაცხოვრებელი ბეჟუაშვილების მამულის ბეგარა შეადგენს თხუთმეტ ჩანახ პურს, ცხვარს, თხას, ქათამს და ხუთ კვერცხს, ზაქუტაშვილის მამულის ბეგარა ათი ჩანახი პური, ცხვარი, თხა, ქათამი და ხუთ კვერცხი. დანარჩენი კომლებიც გაცილებით მეტს იხდიან, ვიდრე მათი მეზობელი სოფლის მკვიდრნი...

1774 წლის აღწერაში გოლგოლეთელებს ქენქაანთკარის მცხოვრებთა შორის ვხვდებით. ორივე სოფელი 16 კომლისგან შედგებოდა, მამაკაცთა რაოდენობა კი – 36 იყო. ეს აღწერა იმითაცაა საყურადღებო, რომ ყველა კომლი, გარდა მოურავ აბრამ თინიკაშვილის ოჯახისა, ქენქაძეა, მათ შორის ბეჟუას შვილები: ელია, ბასილა, ბერი და გოგია...

1783 წლის აღწერებში გოლგოლეთში კომლები მამიშვილობით არიან მითითებულნი, გარდა გაბრიელ ილურიძის, რომელიც ილურთკარიდან უნდა იყოს მოსული. სულ სოფელში ცხოვრობდა 8 კომლი, 14 მამაკაცი.

გერმანელი მოგზაური იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი თავის ჩანაწერებში ახსენებს როგორც გოლგოლეთს, ისე ბეგუანთკარს (**Begmantkari**), რაც იგივე ბეჟუანთკარია, ეს კი, თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ გოლგოლეთს ერთ-ერთი უბნის სახელითაც მოიხსენიებდნენ.

1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერაში გოლგოლეთის შესახებ ცნობები არ გვხვდება. 1774 წლის აღწერის მსგავსად, აქაც გოლგოლეთის მოსახლეობა ქენქაძეებად არიან აღწერილნი. 1804 წლის პირველ რუსულ კამერალურ აღწერაში ძირითადად ვხვდებით იმ პირებს, რომლებიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებშიც არიან მოხსენიებულნი. სულ სოფელ გოგოეთის (გოლგოლეთის) მოსახლეობა 10 ოჯახი იყო, 32 მამაკაცი და 27 ქალი, მათ მფლობელობაშია 32 დღის სახნავი მიწა, 55 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 41 თივა, გადახდილი აქვთ 7 მანეთი და 55 კაპიკი.

შედარებისთვის გავიხსენოთ, რომ შესაბამისი პერიოდის მეზობელ ქენქაანთკარის მოსახლეობა ფლობს 32 დღის სახნავ მიწას, 41 დღის – სახნავად გამოუყენებელს, თიბავდნენ 15 თივას, სულ გადახდილი ჰქონდათ 13 მანეთი და 7 1/2 კაპიკი. სახნავი მიწების რაოდენობაში სხვაობა არაა, სახნავად გამოუყენებელი ანუ სათიბი მიწები კი გოლგოლეთელებს მეტი ჰქონიათ, ისინი 41 თივას თიბავენ, ქენქაანთკარელები – 15-ს, მაგრამ გადასახადებს გოლგოლეთელები □ 7 მანეთსა და 55 კაპიკს იხდიან, ქენქაანელები □ 13 მანეთსა და 55 1/2 კაპიკს, სხვაობა თითქმის ორჯერ მეტია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა მიწების რაოდენობით, არამედ ხარისხით. არადა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში კი საპირისპირო სურათი გვაქვს – გოლგოლეთელთა მამულებზე გაცილებით მეტი ბეგარა იყო დაკისრებული. ისიც რთული სათქმელია, რამდენად ზუსტადაა სხვადასხვა აღწერებში ერთმანეთისგან გამიჯნული ქენქაძეების ორი სხვადასხვა სოფელი.

(გაგრძელება იქნება)



ქარჩოხი-მზარეულიანის წმ. გიორგის სალოცავი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №59-60, 61-62, 63-64



# ქრისტიანობის 1700-ე წლისთავის აღსანიშნავად ეროვნული ბანკი საკოლექციო მონეტებს გამოუშვებს

**გადაწყვეტილება საკოლექციო მონეტების გამოშვების თაობაზე ეროვნულმა ბანკმა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წლისთავთან დაკავშირებით შექმნილი, მთავრობისა და საპატრიარქოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისიის წინადადების გათვალისწინებით მიიღო.**

კომისიის თანათავმჯდომარეები არიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი **შიო მესამე.**

საკოლექციო მონეტის გამოშვებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესს და უნეტარესს შიო მესამეს შეხვდა. შეხვედრისას სებ-ის პრეზიდენტმა უწმინდესსა და უნეტარესს მონეტის კონცეფცია და შინაარსი გააცნო. მონეტის დიზაინზე ეროვნული ბანკი საპატრიარქოსთან ერთად იმუშავებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეპოქალურ მოვლენებს. ამას ადასტურებს წინა წლებში გამოშვებული ისტორიული მოვლენებისადმი მიძღვნილი მონეტებიც, მათ შორის, ქრისტეშობის 2000 წლისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3 000 წლის საიუბილეო თარიღების აღსანიშნად გამოშვებული 10 ლარის ნომინალის მონეტები.



# აშშ-ის საელჩო მოუთმენლად ელოდება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის გაღრმავებას

**27 მაისს, პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ, სახელმწიფო დეპარტამენტის ვიზიტით მყოფმა წარმომადგენლებმა შემდეგი განცხადება გაავრცელეს:** შეერთებული შტატების დელეგაციისთვის პატივი იყო თბილისში, საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მის უწმინდესობასა და უნეტარესობასთან **შიო III-სთან** შეხვედრა.

**დელეგაციამ ხაზი გაუსვა იმ ცივილიზაციურ კავშირებს, რომელიც აშშ-საქართველოს ურთიერთობების საყრდენს წარმოადგენს. შეერთებული შტატები ამ მეგობრობის საფუძვლად მიიჩნევს საქართველოს ფუნდამენტურ ღირებულებებს, მათ შორის: სარწმუნოებას, ოჯახს, ეროვნულ იდენტობასა და ღრმა პატივისცემას ღვთივბოძებული უფლებებისადმი, რომელიც ადამიანის ღირსებას უზრუნველყოფს. აშშ-ის დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა იმ ქრისტიანულ სათნოებებზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოარჩევდა ქართულ ცივილიზაციას თანაგრძნობითა და გულმოწყალებით, ასევე, ეკლესიის ისტორიულ მისიაზე, ყოფილიყო ქართველთა შორის შემრიგებლის ხმა. დელეგაციამ იმედი გამოთქვა, რომ ეკლესია ეროვნული ერთიანობის გამტკიცების ამ მისიას განახლებული სულისკვეთებით გააგრძელებს. შეერთებული შტატები მოუთმენლად ელოდება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის გაღრმავებას“,** „ნათქვამია საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ნახევარი მილიარდი დოლარის ოქროთი შეივსება

**მსოფლიო ბირჟებზე ოქროსა და ვერცხლის ღირებულება კვლავ ეცემა, ფასი მცირდება საქართველოშიც. გამოკვეთილი ტენდენციის მიუხედავად, ეს არ ნიშნავს, რომ ძვირფასი ლითონისადმი ინტერესი ნელდება. მოთხოვნა კვლავ მაღალია და ამას, პირველ რიგში, ბანკები ავლენენ. სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკიც აპირებს ოქროს რეზერვი საგრძნობლად გაზარდოს.**

**ამჟამად 1 უნცია ძვირფასი ლითონის ღირებულება 4500 დოლარს ჩამოსცდა, რაც ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ნიშნულია. რაც შეეხება ვერცხლს, ამ დროისთვის ერთი უნციის ღირებულება 75 დოლარია.**

**ბაზარზე პესიმისტური განწყობა აშშ-ის ინფლაციურ სტატისტიკას და სამომხმარებლო ფასების მკვეთრ ზრდას უკავშირდება. როგორც ირკვევა, სამომხმარებლო ფასების მატება ბაზარზე იმ მოლოდინს აძლიერებს, რომ აშშ-ის ფედერალური რეზერვი მაღალ საპროცენტო განაკვეთებს ხანგრძლივი პერიოდით შეინარჩუნებს ან მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას განაახლებს.**

ამას ისიც ადასტურებს, რომ ამერიკულ სახაზინო ობლიგაციებზე განაკვეთები იზრდება, რაც ინვესტორებს კაპიტალის გადატანისკენ უბიძგებს. ამას ის განაპირობებს, რომ ოქრო პასიური აქტივია, ხოლო ობლიგაციების სანაცვლოდ ინვესტორები პერიოდულ პროცენტულ სარგებელს იღებენ, რაც ამჟამად უფრო მიმზიდველია, ვიდრე ძვირფასი მეტალი.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ოქრო ტრადიციულად ინფლაციისგან დამცავ აქტივად მიიჩნევა, თუმცა მაღალი განაკვეთები მის მიმზიდველობას ამცირებს, რადგან ამ დროს ინვესტორები უპირატესობას შემოსავლიან აქტივებს ანიჭებენ.

**რაც შეეხება საქართველოს, გრამი ოქროსა და ვერცხლის ღირებულებამ აქაც დაიკლო. ამ დროისთვის 1 გრამი 999 სინჯის ოქროს ფასი საქართველოში 399 ლარი ღირს, 750 სინჯის – 299 ლარი, ხოლო 585-სინჯიანი ძვირფასი ლითონი 233 ლარი ღირს. რაც შეეხება ვერცხლს, 999 სინჯის ვერცხლი 6.55 ლარი ღირს, ხოლო 875 სინჯის ძვირფასი ლითონი 5.24 ლარი ღირს.**

მართალია, საერთაშორისო ბირჟებზე ოქროს ფასი მცირდება და მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაიკლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძვირფასი ლითონისადმი ინტერესი ნელდება. მოთხოვნა კვლავ მაღალია და ამას, პირველ რიგში, ბანკები ავლენენ. მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის ცენტრალური ბანკი ცდილობს რეზერვები ოქროში განათავსონ. ბოლო 2-3 წლის ტენდენციას მიჰყვება საქართველოს ეროვნული ბანკიც, რომელმაც საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსება და მონეტარული ოქროს პორტფელის კიდევ უფრო გაფართოება გადაწყვიტა.

**შეგახსენებთ, რომ 2024 წლის გაზაფხულზე სებ-მა ლონდონის ბაზარზე 500 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა 7 ტონა მონეტარული ოქრო, რომლის საბაზრო ღირებულებამაც, მსოფლიო ბაზარზე ფასების მკვეთრი ზრდის შედეგად, 2026 წლის დასაწყისისთვის უკვე 1.06-1.2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამ ოპერაციამ საქართველოს ცენტრალურ ბანკს 600-700 მილიონი დოლარის ე.წ. „უფასო“ არარეალიზებული მოგება მოუტანა, ხოლო ოქროს წილმა მთლიან საერთაშორისო რეზერვებში (რომელმაც 2026 წლის თებერვალში რეკორდულ 6.65 მილიარდ დოლარს მიაღწია) 16-17% შეადგინა.**

ახლა კი საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის სავალუტო რეზერვებში ოქროს წილის საგრძნობ ზრდას განიხილავს. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სებ-ის პრეზიდენტმა ნათია თურნავამ ამაზე პირდაპირ ისაუბრა. მისი თქმით, ოქრო ამჟამად რეზერვების 16.4%-ს, ანუ 1.06 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მომდევნო პერიოდში უნდა გაიზარდოს და აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებელი მთლიანი რეზერვების (6.47 მილიარდი დოლარის) 25%-ია. შესაბამისად, სებ-ი განიხილავს, რომ დამატებით შეისყიდოს დაახლოებით 500 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო.




**„ბოლო პერიოდში ეს გადაწყვეტილება მიიღო მთელი რიგი წამყვანი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა. ზოგს ისტორიული მარაგი ჰქონდა წლების წინ დაგროვილი, ზოგმა ახლახან შეისყიდა, თუმცა თუ შევხედავთ სტატისტიკას, რეზერვებში ოქროს წილი მზარდია.**

**გაზრდილი გარე შოკებიდან თუ არაპროპროგნოზირებადობიდან გამომდინარე, ოქრო არის ის აქტივი, რომელიც გრძელ ვადაში კარგად ინარჩუნებს თავის ღირებულებას, ფასი მოკლე ვადაში ვოლატილურია, მაგრამ გრძელ ვადაში, 20-25-წლიან პერსპექტივაში ინფლაციური რისკების დაზღვევას ახდენს. აქედან გამომდინარე მივიღეთ ჩვენც ეს გადაწყვეტილება. ოქროს წილი ჩვენს რეზერვებში არ არის მაღალი, დღეისთვის 16.4%-ია და 25%-მდე ვვარაუდობთ გაზრდას. ჩვენი მიზანია დივერსიფიკაცია, რომ სხვადასხვა სახის აქტივები ვიქონიოთ ჩვენს პორტფელში“** – განაცხადა **ნათია თურნავამ.**

**ბექა დანელია**

# დღეს ბავშვთა დაცვის დღეა, გილოცავთ!

ვანო ჩხიკვაძე

# ანბანი



ჭიკჭიკი დამატკბობელი,
რაც გესმის დედა-ენიდან,
მოდის ქართული სისხლიდან,
მოდის ქართული გენიდან.

აი თხა, აი ვენახი,
ცა ყინვით მოუთუთქავი,
აი, მუდამ რომ ფუსფუსებს,
ოცდაცამეტი ფუტკარი.

ერთად მოდიან და-ძმანი,
ქვეყნად არა ჰყავთ ბადალი,
სულ მათი მოქარგულია
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.

ვიდრე გამოიძინებდა
ბუნაგში დათვი დანდალა,
წიწკანა ჩიტმა-ჩიორამ
სულ სათითაოდ დათვალა –

ოცდათორმეტჯერ ნისკარტი
როგორც კი დაჰკრა, შორიდან,
ბუზღუნითა და ქაქანით
ტანწვრილი **ჰ**-აეც მოვიდა.

ანბანში **ა**-ნი პირველობს,
მოფრინავს ბიჭი მერცხალა,
**ბ**-არტყებს ნისკარტი დაბანა
ბებია ბოლოცეცხლამა.

**გ**-უნდ-გუნდად გადაიფრენენ
გნოლები გორაკებისკენ,
**დ**-ოლი, დოლაბი, დანდური,
დასტრიალებენ ენის წვერს.

**ე**-რკემალს, ცხვარს რომ მიუძღვის,
**ვ**-ერას დააკლებს ბოტაო,
ვერც ჯიხვი ემჯობინება,
წვერი რომ შეიკოხტაოს.

**ზ**-აფხულს ზამთარი რითი სჯობს
–
ზოგჯერ ზოზინა, ზანტია.
**თ**-ებერვალს თოვლის თივთიკი,
ვინც შემოადნო – მარტია.

**ი**-ა, ივლისი, ივერი,
იცოცხლე, ჩემო კეთილო! –
მაშინვე შემოგაშველებს
ცხვირი რომ დააცემინო.

**კ**-ეკეს კალათში დაიწყო
კრუხმა კვერცხებზე კრიახი.
**ლ**-ოლოს კნაწუნა ჩურჩხელით
პირს იტკბარუნებს ლიახვი.

**მ**-ურწა მთებიდან მოჰყვება,
მოცურავს, მოუხარია,
იცის ლიახვის სათავეც
ჩვენი სამშობლო მხარეა.

**ნ**-აუ, ნაუო, ზარის ხმაც
გალობს მშობლიურ კილოზე.
**ო**-შკო, ზარზმავ და ხახულო,
საქართველოსთვის ილოცეთ.

ორჯერ ორი რომ ოთხია,
შენა ხარ ჩემი ბატონი,
**პ**-ინგვინმა ძლივს გამოთვალა
„ნოკიას“ კალკულატორით.

**ჟ**-ივჟივებს ღაჟო ჟოლოზე,
თუმცა ამინდი ჟიჟმატობს.
**რ**-უმ რაკრაკით რომ იდინოს,
**ს**-იცხეს თოვლი და წვიმა სჯობს.

**ტ**-ატო ხატის წინ ტანტალებს,
**უ**ფალმა ასე ინება,
დედა ღვთისმშობლის კალთაში
იესოს ეტიტინება.

**ფ**-ურდედოს უყვარს ფუჩეჩი,
რძე იცის ღალიანიო,
**ქ**-ვაბში რომ წამოდუღდება,
უნდა უთუოდ დალიო.

**ღ**-არი, ღანძილი, ღიობი,
ღობე, ღაღანა ღიღილო.
აბა რა უნდა მიირთვა,
უცებ რომ აგაღიღინოს?

**ყ**-ელში თუ ჩაირაკრაკა,
მწყუროდა, განა მშიოდა.
ყვანჩალამ დააყრანტალა
**შ**-ავი შაშვი რას ჩიოდა.

**ც**-იხეს ცისკარი აღვიძებს,
არწივის ფრთების ხმაურით.
ცხრაკარა აიჯაგრება
და ბრძოლის ჟინი დაუვლის.

**ძ**-იძგილაობენ მამლები,
მამაცი და გამბედავი.
მელია თუ არ გამოჩნდა,
ვინ დააშველებთ, ნეტავი?

**წ**-იწილას წვიმის წინწკალი,
ულაყს ბალახი ცვრიანი,
„წაბლა“ რომ დაიოთხება,
ნალებს გაუდის წკრიალი.

**ჭ**-იშკარი ჭასთან ჭრიალებს
ჭორი ჭორებთან ჭიდაობს,
მზესთან რაც უნდა იდაო,
მაინც იძახის – ჭიტაო.

**ხ**-ართუთა, ხარი, ხარება,
ხატივით გამოისახა,
**ჯ**-ვარი, ჯაგანი, ჯავარი,
ვინც შემინახა, ისა ხარ!

ოცდათორმეტჯერ ნისკარტი
როგორც კი დაჰკრა ჩიორამ,
მოფრინდა თითქოს ღუნღულა
ღრუბელის ქულა, ფიორა.

**ჰ**-იმნი – მეურმის ურმული,
მისდევს ზაფხულის საღამოს:
– ჰამო, ჰაამო, ჰაამო,
ნიკორავ თივა გაამოს...

ერთად მოდიან და-ძმანი,
ქვეყნად არა ჰყავთ ბადალი,
სულ მათი მოქარგულია
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი!

# ორი «კვარა»

(ექსპრომტი)




**„პარკ დე პრენსზე„ორი „კვარა“**
**ჩვენი გულის გასახარად,**
**ერთმანეთს როგორ შვენიან –**
**მამა შვილს და**
**შვილი – მამას!**

**ვერსალს სულხან-საბა ახსოვს,**
**ამილახვრის თავდადება,**
**ნიკალას და მარგარიტას**
**„გრძნობის„ამოთავთავება.**

**დღევანდელი სიხარულის**
**ცრემლი თვალებს**
**ახლაც ნამავს –**
**იცის, ფეხზე რომ აუდგა**
**პარიზელი, შვილს და მამას?!**

**ვიდრე ამოსაძირკვი გვაქვს**
**„შამბნარი„და „ლელიანი“**
**საფეხბურთო მოედანიც**
**ჩვენთვის ბრძოლის ველი არის!**

**ღმერთი ხელს ვერ მოუმართავს**
**„ცალ კარში„ვინც თამაშობენ,**
**შვიდგზის ლოცვა შეეწევა**
**შვიდნომრიან მამა-მშობელს!**
**ღმერთო,**

**ხელი მოგვიმართე,**
**შვილები რომ სჯობდნენ მამებს –**
**გაეზარდე საქართველოს,**
**ციცქნა „კვარა-დამიანე!„**

5.04.25

# რუსთავის 3 განახლებული საბავშვო ბაღი 1200-ზე მეტ ბავშვს მიიღებს

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი, რუსთავის მერის მოადგილესთან, კახა გურულთან ერთად, რუსთავში N31 ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს და N25 და N11 ბაგა-ბაღების მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო,** – ინფორმაციას საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, **450 ბავშვზე გათვლილი N31 საბავშვო ბაღის განახლებითი სამუშაო დასკვნით ეტაპზეა. ასევე დასასრულს უახლოვდება რუსთავის N25 და N11 ავარიული ბაგა-ბაღების ნაცვლად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობების მშენებლობა. N25-ე ბაღი 450 ბავშვზეა გათვლილი, N11 ბაღი კი 300 ბავშვს მოემსახურება.**



პროექტების განხორციელების შედეგად, რუსთავის საბავშვო ბაღებში შეიქმნება ყველა აუცილებელი პირობა, რაც უზრუნველყოფს ბავშვების კომფორტულ, უსაფრთხო და სოციალიზაციაზე ორიენტირებულ გარემოში აღზრდას. გარდა ამისა, მუნიციპალური განვითარების ფონდი, რეკრეაციული სივრცეების მოწყობის პროგრამის ფარგლებში, სამივე საბავშვო ბაღის კეთილმოწყობისთვის, დამატებით გამწვანებით სამუშაოებს შეასრულებს.

# გმადლობთ, საპატიო ქობულეთელებო!

**ქობულეთის მუნიციპალიტეტში, პეტრას ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ კომპლექსში, „საპატიო ქობულეთელის“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობამ გაავრცელა!

მათივე ცნობით, ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე რეგიონის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ცოტნე ანანიძესთან, აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

**„სტუმრებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ცეცხლაძე მიესალმა. საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ.**

**ზურაბ პატარაძემ ნომინანტებს მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საზოგადოებისთვის გამორჩეული ადამიანების ღვაწლის დაფასება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.**

**„აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში არსებობს გამორჩეული ადამიანების დაჯილდოების ტრადიცია. დღეს „საპატიო ქობულეთელები“ დავაჯილდოვეთ და გვქონდა შესაძლებლობა პირადად მიგველოცა მათთვის. ქობულეთელობა მართლაც განსაკუთრებული ღირსება და პასუხისმგებლობაა. სასიხარულოა, რომ დღეს სამი თაობის ქობულეთელები შევიკრიბეთ და სიყვარულით აღვნიშნეთ ის ღვაწლი, ჩართულობა, ერთგულება, რაც ქობულეთის განვითარებისთვის გააკეთეს. დარწმუნებული ვარ, ეს მნიშვნელოვანი ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება და არაერთხელ გვექნება შესაძლებლობა, პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობითა და ღირსეული ცხოვრებით ამშვენებენ ჩვენს მუნიციპალიტეტებს“, – აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.**

ცერემონიის ფარგლებში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ „საპატიო ქობულეთელის“ ჯილდო პირადად გადასცა სპორტსმენ **ირაკლი თურმანიძესა** და ექიმ-კარდიოლოგ **ბესიკ კაკალაძეს.**

წელს „საპატიო ქობულეთელის“ ტიტული მუნიციპალიტეტის ხუთ გამორჩეულ მოქალაქეს გადაეცა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.



# ოქროს ბურთი — ოქროს ბიჭუნას!




**გაგვშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს განსაკუთრებული საჩუქრით დამიანე კვარაცხელია დაჯილდოვდა, რომელსაც მამიკომ ჩემპიონთა ლიგის მოგებით მოხვეჭილი ზედიზედ მეორე ტიტული უსახსოვრა.**

შარშანდელი პირველი ტრიუმფის წინ სიტყვამადლიანმა პოეტმა ვანო ნადირაძემ ბედნიერ მშობელსა და მის საფიცარ საჯიშე მამალს რამდენიმესტროფიანი ჯიგრული ექსპრომტი მიუძღვნა, სადაც ვკითხულობთ:

**„ღმერთი ხელს ვერ მოუმართავს**
**„ცალ კარში“ ვინც თამაშობენ,**
**შვიდგზის ლოცვა შეეწევა**
**შვიდნომრიან მამა-მშობელს!“**

ჭეშმარიტად, უფალმა ამინი დასცა და ერისა თუ ბერის რჩეულს, ვითარცა თანამედროვე ქართული ფეხბურთის არწივს, ასევე ორგზის გვირგვინოსან **კახი კალაძის** მსგავსად, უდიდესი სიამაყის გრძნობით ვულოცავთ ძალიან მაღლა კიდევ ერთხელ აფრენას!

ბუდაპეშტის პუშკაშ არენაზე გამართული ტიტანთა ჯახის წინ ტყიბულში ისეთი ფაქტი მოხდა, კეთილად რომ გვენიშნა და ლამის ცრურწმენების საფუძვლიანობაში დაგვარწმუნა:

გუნდის მწვრთნელად **თემურ ქეცბაიას** დანიშვნის შემდეგ საოცრად ათამაშებულმა თბილისის დინამომ 6:1 გაანადგურა მეშახტე და კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები კრისტალბეთ ეროვნული ლიგის ლიდერთა ჯგუფში, მაგრამ 4:0-ზე **თორნიკე კვარაცხელიას** დარტყმული პენალტი, რომელიც მისივე შესანიშნავ გადაცემას მოჰყვა, მასპინძელთა მეკარემ მოიგერია. ჰოდა, ვიდრე ნდობაგამოცხადებული ტალანტი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ემზადებოდა და გამორბენამდე ბურთს თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე ასწორებდა, ერთმა ენაკვიმატმა კოლეგამ ყურადღების მიქცევის მიზნით ვითომ სხვათა შორის თავისთვის ხმადაბლა ჩაილაპარაკა — თუ უმცროსი კვარა გოლს ვერ გაიტანს, მისი ძმა საღამოს უნგრეთის დედაქალაქში გაიმარჯვებსო.

ბუნებრივია, მთლად „მკითხავის“ დამსახურებად ვერ მივიჩნევთ ზღაპრულ ფინიშს, მაგრამ, მოდით, ნურც განსაკითხავად გავიმეტებთ.

**პარი სენ-ჟერმენი — არსენალი 1:1**
**პირველი ტაიმი 0:1**
**პენალტებით 4:3**

**გოლები: ჰავერცი (მე-6 წთ), დემბელე (65-ე წთ, პენალტით).**
**მსაჯი: დანიელ ზიბერტი (გერმანია).**

მოდით, ვიდრე კვარადონას ისტორიულ წარმატებასა და მის მიერ ფრანგული გრანდის მორიგ მიღწევაში შეტანილ სოლიდურ წვლილს დავუბრუნდებით, ჩემპიონთა ლიგის მატიანეში გამართულ ესპანელ მწვრთნელთა პირველ ტაქტიკურ დუელზე შევჩერდეთ.

თავისთავად ის ფაქტი, რომ **ლუის ენრიკემ** ზედიზედ მეორედ უწია ოლიმპს, ყველაფერზე მეტყველებს, თუმცა ერთი მისი გადაწყვეტილება სადავო ჩანდა. ვგულისხმობთ სასტარტო შემადგენლობაში **ფაბიან რუისის** დაყენებას და მთელ სეზონში სტაბილურობით გამორჩეული **ზაირ-ემერის** სათადარიგოთა სკამზე გამწესებას, მაგრამ რადგან საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა, აქ დავსვათ წერტილი — გამარჯვებულებს ხომ არ ასამართლებენ — და **მიკელ არტეტას** შექმნილ უმძლავრეს ანსამბლზე გავამახვილოთ ყურადღება.

მაშ ასე — დღევანდელი არსენალი ის გუნდია, რომელიც ანაკონდასავით ახრჩობს მეტოქეს, მთელი ტურნირი დაუმარცხებლად დაასრულა და მხოლოდ 7 ბურთი გაუშვა, სატიტულო ბრძოლის წინ კი 22-წლიანი პაუზის შემდეგ პრემიერლიგაში ნანატრი ტრიუმფით უზარმაზარი ფსიქოლოგიური დოპინგი მიიღო უმთავრესი ევროტურნირის პირველად მოსაგებად.

მაგრამ, როგორც ყველა მექანიზმს, სუსტი წერტილი მეთოფეებსაც მოეძებნათ მარჯვენა მცველების — **ტიმბერისა** და **უაიტის** ტრავმების სახით, ანუ უშუალოდ ხვიჩას შესაძლო ფლანგური ოპონენტების პრობლემებით.

ასეთ ვითარებაში არტეტამ არჩევანი **მოსკერაზე** შეაჩერა, რომელსაც 2-3 პარტნიორი სისტემატურად ეხმარებოდა, მაგრამ საკითხავი იყო, როდემდე შეძლებდნენ კვარაცხელიას განეიტრალებას, ვისგანაც მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრებოდათ — იგი ხომ ტიტულების ფაბრიკაა!

ინგლისელებმა დამატებითი კოზირი დებიუტშივე შეიძინეს, როცა **მარკინიოსმა** უხეში შეცდომა დაუშვა და მისი გუნდი მდევრის როლში აღმოჩნდა.

აქედან მოყოლებული, დაიწყო რაიას კარის მისადგომებთან ამოშენებული ციხე-სიმაგრის ერთსაათიანი ალყა, რომლის გარღვევა, ვისი, თუ არა კვარას ძალისხმევით მოხერხდა, **დემბელესთან** კლასიკური „კედლის“ გათამაშებით მხსნელი პენალტი რომ აჰკიდა მოსკერას.

მალევე მისი გარღვევა ძელის შეწუხებით დასრულდა, რამდენიმე წუთში კი, ვითარცა გმირმა ხვიჩამ ბრძოლის ველი გასისხლიანებული ფეხით თავაწეულმა დატოვა.

დარჩენილ დროში **ბარკოლამ** ქარს გაატანა ბოძებული შანსი, საფეხბურთო ლატარიაში კი აწ უკვე 2-გზის ევროჩემპიონებს დემბელე, **ვიტინია** და მარკინიოსიც აკლდნენ, მაგრამ მაინც დაწერეს ისტორია.

**ეპილოგის სახით მოგახსენებთ, რომ ქართული ფეხბურთი უკვდავია, რამეთუ მის აწმყოს ამშვენებს ოქროს ბურთის დაუფლების რეალური კანდიდატი ხვიჩა კვარაცხელია!**

# პირველი მერცხალი




**იყო დრო, ირინა გაგაშვილი, ლალი დოლიძე, ირინა ჟემჩუჟინა და მაია ნადიბაიძე გვანებივრებდნენ არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე მოხვეჭილი ჯილდოებით, მაგრამ მას შემდეგ წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, მხატვრული ტანვარჯიშის ქართველ ოსტატებს კი ტიტულები მოენატრათ...**

და აი, ნავსი პოპულარულ ბულგარულ საკურორტო ქალაქ ვარნაში გატყდა, სადაც კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე სამშობლოს დამოუკიდებლობის პერიოდში პირველი ოქროს მედალი გურზებით ვარჯიშში **ნიტა ჯამაგიძემ** მოუტანა — 26,900 ქულა. ვულოცავთ!

დავძენთ, რომ პერსპექტივის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება ჯვაროსანთა კვარტეტის მიერ გუნდურ ტურნირში დაკავებული მე-4 ადგილი.

**მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სპორტის ამ სახეობაში აღსანიშნავ ამბებს აწი სტაბილურად უნდა ველოდოთ!**

# ბათუმში ოქრო დაბრუნდა

**ქართულ კალათბურთში მნიშვნელოვანი ფაქტი აჭარაში მოხდა, სადაც ბათუმმა დამატებით დროში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს მოუგო — 90:81 (ძირითადი დრო 81:81), საერთო ანგარიში 3:1 გახადა და პირველად გაიმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში, თანაც ისე, რომ ძირითადი დროის ბოლო 20 წამში 5-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, ხოლო ოვერტაიმში მეტოქეს ბურთი არ ჩააგდებინა.**

შეგახსენებთ, რომ ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ ზღვისპირელებს მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნაზე **ნუგზარ კანდელაკის, მერაბ ემირიძისა** და **პაველ გოოგეს** ნაამაგარი ბასკოს სახით ქვეყნის რამდენიმეგზის ჩემპიონი წინამორბედი უკვე ჰყავდათ, ასე რომ, წლევანდელი წარმატება ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელთა მდიდარი სპორტული ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

**ვულოცავთ!**

**ყველაზე შედეგიანები:** მაირინ თომასი — 28 ქულა, 15 მოხსნა, 5 ასისტი, გიორგი ოჩხიკიძე — 22 ქულა (ბათუმი); კორვისირ მაკკოლი — 24, გიორგი ტურძილაძე — 23 ქულა (თსუ).

# ზაფხულის ხვატში...

**ათიოდე დღეც და სამყარო საფეხბურთო მუნდიალში ჩაიძირება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები (მეორედ), მექსიკა (მესამედ) და კანადა (პირველად) უმასპინძლებენ.**

სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის 23-ე პლანეტარულ ფორუმში პირველად ითამაშებს 48 ნაკრები და გულშემატკივარსაც, ბუნებრივია, შესაბამისად 104-შეხვედრიანი და 40-დღიანი მარათონით ტკბობა მოუწევს, რაც ხანგრძლივობის თვალსაზრისითაც ასევე სარეკორდო სანახაობა იქნება.




რაც შეეხება მექსიკა — სამხრეთ აფრიკის გახსნის მატჩს, იგი 11 ივნისს თბილისის დროით 23 საათზე მეხიკოს განთქმულ აცტეკას სტადიონზე გაიმართება, ხოლო ფინალი 19 ივლისს ამავე დროს ამერიკულ რუტერფორდშია დანიშნული.

არის კიდევ ერთი, თითქოსდა საჩოთირო საკითხი, რომელიც შეხვედრათა უმეტესობის დაწყებას უკავშირდება. მიხვდით, ალბათ — საუბარია შუაღამისა და გამთენიის ფაქტორებზე, თუმცა ეს ტრადიციული თემაა, როცა ელიტა ოკეანის გაღმა იკრიბება და, თანაც, ის შემთხვევა, ვაი-ვიში ვერაფერს რომ ვერ უშველის და, კაცმა რომ თქვას, ჭეშმარიტი ქომაგი ვითარებას შეგუებულიც უნდა იყოს.

აქვე შეგახსენებთ პრაქტიკაში უკვე კარგად აპრობირებულ ნიუანსსაც, რაც ზაფხულის ხვატთან ღირსეულად გასამკლავებლად საქმეში კონდიციონერისა თუ ცივი ლუდის ჩართვას გულისხმობს, მით უმეტეს მაშინ, როცა გვიან შედარებით გრილა და ბუნების კაპრიზებთან უთანასწორო ბრძოლაში შვების პოვნაც გაადვილებულია.

და აი, მივადექით უმნიშვნელოვანეს — ტელერეპორტაჟების დილემას. დიახ, ამ დღეებში გადაწყდა, რომ საფეხბურთო ზეიმის ექსკლუზიურად გადმოცემის უფლება რუსთავი — 2-მა და სეტანტამ რემდენიმეთვიანი მოლაპარაკების შედეგად შეისყიდეს და ჩვენი გადასაწყვეტია, რომელ არხს მივანიჭებთ უპირატესობას. წმინდა პროფესიონალურ ასპექტს რომ თავი დავანებოთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ნაციონალური კოშმარის რუპორის ხსენებისას გვერდს ახლო წარსულის პოლიტიკური ქვესკნელი და ქვეყანაში დაყენებული სისხლის ტბები დაუდგებოდა თვალწინ. ისინი მართალნიც იქნებიან, თუმცა ობიექტურობისათვის ისიც სათქმელია, რომ მანამდეც და იმ ჯოჯოხეთურ პერიოდშიც რუსთავი — 2-ზე, მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის სპექტაკლები იდგმებოდა.

**ეს ისე, ცნობისათვის, თუმცა ვიმეორებთ — არჩევანი უშუალოდ თქვენი გასაკეთებელია და ბედნიერებაა, ომების რკალში მოქცეულ სამშობლოში ასეთი საფიქრალი რომ გვაქვს.**

**მაშ ასე — ვისიამოვნოთ მისი უდიდებულესობა დიდი ფეხბურთით!**

# სრული სვლით!

**ფეხბურთის სამშობლოს რომ დაამარცხებ, ესპანეთთან ფრედ ითამაშებ და ევროპის ჩემპიონატის ურთულესი ჯგუფიდან ვადამდე გახვალ პლეი-ოფში, პროგრამა — მინიმუმს შესრულებულად ჩათვლი კაცი, აბა რა?**

**ბესო არველაძის** გაწვრთნილ მინი-ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებზე მოგახსენებთ, რომელმაც ინგლისს ბოლო წუთზე მოუგო და 2 სასტარტო შეხვედრაში ერთი გოლიც არ გაუშვია (1:0, 0:0), სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში მიმდინარე ტურნირის ფორმატი კი 4-ქულიან გუნდს უარეს შემთხვევაში მესამეადგილოსანთათვის (4 საუკეთესო) დაწესებული კვოტით მე-2 ეტაპის საგზურს მაინც უნაღდებს.

უჩვეულოა ფორუმის მონაწილეთა რეიტინგიც. ასე მაგალითად, ჩვენი ბოლო მეტოქე რუმინეთი (0:3) კონტინენტზე ყველაზე ტიტულოვანია — 6 ოქრო და 3 ვერცხლი, მოქმედი ჩემპიონი აზერბაიჯანი კლასიფიკაციაში მეორეა, გრანდი გერმანია კი, პირიქით — ბოლოდან მეორე, ანუ ბოლოსწინა.

**თუმცა, რას გაუგებ კაცი მრგვალ ბურთს.**

# RAF-ის ეგიდით

**მერაბ დვალიშვილმა ამერიკული ჯიდაოგის ორგანიზაციაში ფრენკი ედგარი 12:1 დაამარცხა.**

აღნიშნული შეხვედრა დვალიშვილისთვის ამ სტატუსით სადებიუტო იყო. იგი დაპირისპირების მანძილზე უდიდეს უპირატესობას ფლობდა და მეტოქეს შანსი პრაქტიკულად არ ჰქონია.

გამარჯვების შემდეგ მერაბ დვალიშვილმა UFC-ში თავისი ყოფილი მეტოქე, ოლიმპიური ჩემპიონი ჰენრი სეხუდო გამოიწვია.

## თამარ (დოდო) კეზელი

# სიკეთის მთესველი მედიკოსი და მასწავლებელი



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ, მედიცინის საერთაშორისო საგანმანათლებლო სკოლამ დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კეზელი.

ის იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი, საქართველოს პრეზიდენტის მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრი, საუკეთესო პედაგოგის წოდების სამგზის მფლობელი, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით – თავმდაბლობით, სიკეთით, სიმშვიდით, ახალგაზრდობის დედობრივი სიყვარულით გამორჩეული მასწავლებელი, სატელევიზიო ლექციების ბრწყინვალე წამყვანი, პირველი ქართული ფარმაკოლოგიური ფორმულის შემქმნელი, სხვადასხვა პრეპარატების რაციონალურად შერჩევის დიდოსტატი, მაღალი პროფესიონალიზმით აღსავსე თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი.

წლების განმავლობაში თამარ კეზელი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი და აკადემიური საზოგადოების აქტიური წევრი.

თამარ კეზელი მრავალი ფუნდამენტური სამედიცინო სახელმძღვანელოს, სამეცნიერო-პოპულარული სტატიების ავტორი გახლდათ. თამარ კეზელის მოღვაწეობის განსაკუთრებული თვისება მაინც უფლის მიერ ბოძებული კეზელების დიდი ქართული ოჯახიდან შეძენილი კეთილგანწყობა, ადამიანებისადმი გულწრფელი და შესანატრი პედაგოგიური დამოკიდებულება იყო.

გარდაიცვალა ყველგან და ყველაფერში სიკეთის მთესველი ქალბატონი და დაგვიტოვა სამშობლოსადმი, სტუდენტი-ახალგაზრდობისადმი მსახურების დაუვიწყარი მაგალითი.

დოდო კეზელს არასოდეს დავივიწყებთ!

**მეგობრები**

---

საწარმოო გაერთიანება „თბილპურის“ ყოფილი თანამშრომლები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ უახლოეს მეგობარს, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის პრეზიდენტს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ბატონ მალხაზ დოლიძეს მეუღლის, უკეთილშობილესი პიროვნების, ქალბატონ

## თამარ (დოდო) კეზელის

გარდაცვალების გამო და გულითად სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და სანათესაოს.

იური ოსიპოვი, სპარტაკ გოგინავა, მანანა კობერიძე, ნინო კიკნაძე, ომარ კაჭარავა, თენგიზ ბაზერაშვილი, ლილი ბოლქვაძე, რომან კუმელაშვილი, კახა კუხალაშვილი, დარეჯან ჩიქვინიძე, მზია სულაკაძე, ლენა თათევოსიანი, გულნაზ ახალაია, ზიზო პავლიაშვილი, რუსიკო ანდრიაძე.

---

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე კავშირის პრეზიდენტის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თბილისის საპატიო მოქალაქის, პროფესორ მალხაზ დოლიძის მეუღლის

## თამარ (დოდო) კეზელის

გარდაცვალებას, სამძიმარს უცხადებენ და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, სანათესაოსა და სამეგობროს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს გაზეთის ერთგულ და მუდამ სასურველ ავტორს, პროფესორ მალხაზ დოლიძეს მეუღლის

## თამარ (დოდო) კეზელის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახსა და სანათესაოს.

# «მოდიოდა ნინო მთებით, მოდიოდა»...

**1 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ქართველთა განმანათლებლის საქართველოში შემოსვლას.**

...ცნობილია, რომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში მოციქულებმა იქადაგეს ქრისტიანობა, მაგრამ მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის ქვეყანა მაინც წარმართობის ტყვეობაში იყო.

ყოვლადწმინდა ქალწულის მინიშნებით ქართველთა ერის ქრისტეს ნათლით გასანათლებლად ივერიისკენ მოციქულთა სწორი ქალწული ნინო გამოემართა.



წმინდა ნინო ქალწულ მოწაფეებთან რიფსიმე და გაიანე და მათ 50 თანამოღვაწეებთან ერთად სომხეთში ჩავიდნენ. წმიდა ქალწულთა მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ ნინო ღვთაებრივი გამოცხადებით ფარავნის ტბასთან მოვიდა და ჯავახეთის მთებით მცხეთაში შემოვიდა. იგი მრავალი ჭირითა და იწროებით ჩავიდა საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში – მცხეთაში და ლოცვითა და მარხვით, დიდი მოღვაწეობით მოაქცია მთელი ქართველი ერი და მიიძინა დაბა ბოდბეში. ნეტარხსენებული საქართველოს ყოფილი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით დაარსდა ჯერ ფოკის წმინდა ნინოს მამათა, ხოლო მოგვიანებით წმინდა ნინოს დედათა მონასტრები.

* * *

**გუშინ, საქართველოს წმიდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ სულის შაბათის – მიცვალებულთა მოხსენიების დღის შემდეგ იდღესასწაულო სულთმოფენობა.**

სულთმოფენობა იდღესასწაულება უფლის აღდგომიდან 50-ე დღეს. ამ დიდებულ დღეს მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმინდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით.

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს დაბადების დღეა!

**გიული ლიპარტია**

# სამეცნიერო პუბლიკაციების პრეზენტაცია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

**კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა ცენტრის მიერ 2026 წელს გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების პრეზენტაცია.**



ღონისძიება გახსნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ. მისასალმებელ სიტყვაში მან მიმოიხილა ცენტრის 2026 წლის საგამომცემლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის მნიშვნელობაზე ქართული კულტურული და წერილობითი მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის პროცესში.

პრეზენტაციის ფარგლებში ავტორებმა და რედაქტორებმა საზოგადოებას წარუდგინეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა და ცენტრთან თანამშრომლობით მომზადებული ახალი გამოცემები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა სამეცნიერო დარგში მიმდინარე აქტუალურ კვლევებს.

წიგნების წარდგენა დაიწყო პერიოდული გამოცემით □□მრავალთავი 30□, რომელიც საზოგადოებას ნინო მელიქიშვილმა გააცნო.

ზაზა აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა გამოცემები: □ივანე ჯავახიშვილი □მამულიშვილობა და მეცნიერება□და დავით გვრიტიშვილის □ივანე ჯავახიშვილი □ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე□.

გონელი არახამიამ ისაუბრა □სამეცნიერო-პოპულარული წიგნების სერია XV□-ში გამოცემულ გიორგი მჭედლიშვილის ნაშრომზე □ისტორიული ეტიუდები□, ხოლო თამარ ჭუმბურიძემ წარადგინა გამოცემა □ქართველოლოგია ევროპაში – მიხეილ თარხნიშვილი და იულიუს ასფალგი: წერილები□.

დავით სართანიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო □ივანე ჯავახიშვილის თხზულებანის□პირველი ტომი. დარეჯან კლდიაშვილმა წარადგინა □სამხრეთ საქართველოს ხელნაწერთა მინაწერი საბუთების კორპუსი XI□XVI სს, II, ვაჰანის ქვაბთა განგების ისტორიული დოკუმენტები XIII□XVI სს□.

ლია სამყურაშვილმა და დალი ჩიტუნაშვილმა საზოგადოებას წარუდგინეს გამოცემა □სამეცნიერო მემკვიდრეობა V □რუსუდან გვარამია□. დალი ჩიტუნაშვილმა ასევე ისაუბრა □ბიბლიოგრაფიული იშვიათობა □ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების□III და IV ტომებზე. ღონისძიება დასრულდა შემაჯამებელი სიტყვით, რომლის ფარგლებშიც კიდევ ერთხელ აღინიშნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მნიშვნელოვანი როლი ქართული სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში.



# ინდოელი მტკვარში გარდაცვლილი იპოვეს

**ინდოელი სტუდენტი, რომელსაც თბილისში რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ, მტკვარში გარდაცვლილი იპოვეს.**

შსს-ს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

23 წლის დვანიტ რაჯდიპის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად ინდურ მედიაში გავრცელდა. ინდური მედიის ცნობით, მას მანამდე დაპირისპირება ჰქონდა თბილისში ბინის მეპატრონესთან, ასევე ინდოეთის მოქალაქესთან.

# მარტვილში ავარიას 2 ადამიანი ემსხვერპლა

**მძიმე ავარია მოხდა სოფელ გაჭედილთან – გავრცელებული ცნობით, გარდაცვლილია ორი პირი.**

ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილთან, ასევე მძიმეა ერთი დაშვებული პირის მდგომარეობაც. **არსებული ინფორმაციით, ავტომობილი მაღაზიას დაეჯახა. შსს-ში განაცხადეს, რომ გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო.**



# თურქეთში ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა

**თურქეთის ქალაქ დენიზლიში ტურისტული კომპანიის კუთვნილი სამგზავრო ავტობუსი დენიზლი-აიდინის გზატკეცილზე ბარიერებს შეეჯახა, რის შედეგადაც ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა.**

თურქული მედიის ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგადაც **8 ადამიანი, მათ შორის ერთი ჩვილი, დაიღუპა და 33 დაშავდა.**

გავრცელებული ინფორმაციით, ავტობუსი **იზმირიდან ანტალიაში მიემგზავრებოდა და მასში 38 მგზავრი და 3 მძღოლი იმყოფებოდა.**





# ხვამლობის დღესასწაული ლეჩხუმში

**ისტორიულ ხვამლის მთაზე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე, სადღესასწაულო წირვა აღავლინა ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ.** ხვამლობის სადღესასწაულო წირვას, მრევლთან და სტუმრებთან ერთად, დაესწრნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ალუდა თუთისანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ვასილ სადინაძე** და მერის მოადგილე **მამუკა ლეთოდიანი**.



# „სახლიდან – სამშობლომდე“

**ღორჯომის კულტურის სახლში ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი □სახლიდან სამშობლომდე□გაიმართა.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი **ვახტანგ ბერიძე** აჭარის კულტურის მინისტრი **ელისო ბოლქვაძე,** ხულოს დელეგატი საქართველოს პარლამენტში **ანზორ ბოლქვაძე,** ხულოს დელეგატი აჭარის უმაღლეს საბჭოში **მინურ პაქსაძე,** ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, **რენარ ბოლქვაძე,** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

**კონცერტი აჭარის კულტურის სამინისტროს პროექტის □კულტურა მთაში□ფარგლებში ჩატარდა. პროექტი 2026 წელს დაიწყო და აერთიანებს სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის ღონისძიებებს. პროექტის მიზანია მაღალმთიან აჭარაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ტრადიციული ავთენტური კულტურის დაცვა-განვითარება, შემოქმედებითი პროცესების გაძლიერება და კულტურული პოტენციალის გაზრდა.**

# ფესტივალი დავით თორაძის შემოქმედებითი საღამოთი გაიხსნა

**30 მაისს, 18:00 საათზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში □თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი□□ დავით თორაძის შემოქმედებითი საღამოთი გაიხსნა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საკონცერტო პროგრამა აერთიანებს კომპოზიტორის შემოქმედების უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს □კინომუსიკას, საოპერო და საბალეტო შედევრებს.

**შემსრულებლები:**

**იანო ალიბეგაშვილი** □სოპრანო;
**გიორგი ანდღულაძე** □ბანი;
**ლელა მჭედლიძე** □ვიოლინო;
**ნატო მეტონიძე** □ვოკალი;
**ლეონარდო ლოპეს დიასი** □ვოკალი;
**მეკო ქავთარაძის** ახალგაზრდული კაპელა.
ორკესტრი □მაესტრო ნიკა ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით.

**საღამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ხსოვნას მიეძღვნა.**




# 2026-2027 წლების ამინდის პროგნოზი თავდაყირა დგება!

**გლობალური ამინდის პროგნოზის მიხედვით, 2026 წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია ძლიერი კლიმატური ფენომენის – ელ-ნინიოს – ჩამოყალიბება, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ამინდის მკვეთრ ცვლილებებს გამოიწვევს.**

იაპონიის მეტეოროლოგიური ბიუროს ინფორმაციით, 70%-იანი ალბათობა არსებობს, რომ ელ-ნინიო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზაფხულის სეზონზე გამოვლინდება. ჩინეთის შესაბამისი უწყებების პროგნოზით კი, ამ ფენომენის ეფექტები ქვეყანაში წლის ბოლოსთვის გახდება შესამჩნევი, თავად პროცესი კი შესაძლოა მაისიდან დაიწყოს. ამასთან, აშშ-ის კლიმატის პროგნოზის ცენტრი 61%-იან შანსს ასახელებს, რომ ელ-ნინიო მაისიდან ივლისის პერიოდში ჩამოყალიბდება

ავსტრალიის მეტეოროლოგიური ბიურო ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში მაისიდან აგვისტომდე ხანგრძლივ ნალექებს პროგნოზირებს.

ელ-ნინიო და ლა-ნინია წყნარი ოკეანის ტროპიკული ნაწილის ერთიანი კლიმატური სისტემის საპირისპირო ფაზებია. ელ-ნინიო ხასიათდება ეკვატორული წყნარი ოკეანის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილის ზედაპირული წყლების არაბუნებრივი გათბობით, რაც ატმოსფერული წნევის ცვლილებებისა და პასატური ქარების შესუსტების შედეგად ხდება. ამის გამო თბილი წყლები აღმოსავლეთისკენ გადაადგილდება და გლობალური ამინდის სურათი მნიშვნელოვნად იცვლება.

**ლა-ნინია კი საპირისპირო პროცესია – ამ დროს პასატური ქარები ძლიერდება, თბილი წყლები დასავლეთისკენ გადაადგილდება, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ზღვის ტემპერატურა ნორმაზე დაბლა ეცემა. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის შეფასებით, მიმდინარე წლის ელ-ნინიოსგან მოსალოდნელია გლობალური ტემპერატურის ზრდა და ექსტრემალური ამინდის მოვლენების გახშირება, მათ შორის ძლიერი სიცხეები და ინტენსიური ნალექები. ნალექების მატება პროგნოზირებულია სამხრეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში, აშშ-ის სამხრეთში, აფრიკის რქასა და ცენტრალურ აზიაში, ხოლო შედარებით მშრალი ამინდია მოსალოდნელი ავსტრალიაში, ინდონეზიასა და სამხრეთ აზიის რიგ ქვეყნებში.**



ასევე ვარაუდობენ, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზაფხულში ქარიშხლების რაოდენობა გაიზრდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ წყნარ ოკეანეში, თუმცა შემცირდება ატლანტის ოკეანის აუზში.

წარსულში ელ-ნინიოს მოვლენებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონია. მაგალითად, 2015-2016 წლების ძლიერმა ელ-ნინიომ გვალვები გამოიწვია ავსტრალიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შეასუსტა ინდური მუსონი და მნიშვნელოვნად შეამცირა სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობა. 1997-1998 წლების ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა შემთხვევამ აზიაში გვალვა და ამერიკის კონტინენტზე მასშტაბური წყალდიდობები გამოიწვია.

**სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მსგავსი კლიმატური პროცესები გლობალურ ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რის გამოც მიმდინარე წლის პროგნოზს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 4 ივნისს